ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

№ 131 (20472) — ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 7 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ, 1989 ᲬᲚᲘ. — ᲤᲐᲡᲘ 8 ᲙᲐ�პ.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

6 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში მუშაობა განაგრძო სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობამ.

დილის 10 საათია. სხდომა გახსნა თავმჯდომარემ, დეპუტატმა **ა. ვ. გორბუნოვმა,** რომელმაც განაცხადა, რომ დილის სხდომაში მონაწილეობისათვის რეგისტრაციაში გატარებულია 2119 დეპუტატი.

ყრილობაზე გაგრძელდა სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების საკითხის განხილვა.

ტრიბუნაზეა დეპუტატი **ბ. ვ. დადაიანი.** ბაშკირეთის ტერიტორიაზე მომხდარმა ტრაგედიამ შეაძრწუნა ყარაბაღი, ნაცნობი ტკივილი გახმაურდა ჩვენს გულში, თქვა მან. სხვისი ჭირი არ არსებობს. და მხოლოდ მოძმე ხალხთა ეშმაკრატად თანასწორუფლებიან ერთიან ოჯახში, თანაგრძნობასან და მხარდაჭერაზე დაყრდნობით შეიძლება გავუძლოთ ამ საშინელ დარტყმას, ორატორმა თქვა, რომ სომხეთიდან და მთიანი ყარაბაღიდან საქველმოქმედო დახმარების გაწევის წესით უკვე გაიგზავნა ათიათასობით მანეთი და 40 უყთი მედიკამენტები.

დეპუტატმა ილაპარაკა მთიან ყარაბაღის ავტონომიური ოლქის შექმნის ისტორიის, იმ პრობლემების რთული კვანძის შესახებ, რომლებიც ამ რეგიონში წარმოიქმნა. გარდაქმნამ ჩაგვისახა იმედი, რომ გიახლება დახლართული კვანძი. ორატორი ხედავს მხოლოდ ერთ გამოსავალს — შეუერთდეს მთიანი ყარაბაღი სომხეთს. მაგრამ, მისი აზრით, პრობლემამ უკან გადაიწია. მან ერთხელ კიდევ გაიმეორა: ჩვენთვის მთავარია პოლიტიკური პრობლემის გადაწყვეტა თვითგამორკვევის ფარგლებში.

ამავე დროს, ორატორმა მხარი დაუჭირა ეკონომიკის აღმავლობას, რეგიონალურ სამეურნეო ანგარიშს. მაგრამ იმას, რომ პოლიტიკური გადაწყვეტის გარეშე ეკონომიკა მოიკოჭლებს, ამას ადასტურებს ასეთი ფაქტი: მოსკოვის მიერ მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქისათვის გამოყოფილი ასმილიონობით მანეთი, ჯერჯერობით, როგორც მან თქვა, გზაში — ბაქოში გაეჭიხრა.

გამოსვლის მნიშვნელოვანი ნაწილი მიეძღვნა ერთი თვითგამორკვევის ლენინური პრინციპის განმარტებას, რომელიც, ორატორის აზრით, ჩვენში ირღვევა. მან აგრეთვე გაილაშქრა მთიან ყარაბაღში შემოღებული მმართველობის განსაკუთრებული ფორმის წინააღმდეგ.

როცა შეეხო სუმგაითის დანაშაულის პოლიტიკური შეფასების აუცილებლობას, მან განაცხადა: ჩვენ შორს ვდგავართ იმისაგან, რომ პასუხისმგებლობა ამ ბოროტმქმედებისათვის დავაკისროთ აზერბაიჯანელ ხალხს, ძალიან ვწუხვართ, რომ დღემდე გამოვლენილი არ არიან მისი ნამდვილი სულისჩამდგმელები და ორგანიზატორები.

დეპუტატმა წაიკითხა მთიანი ყარაბაღის სომეხი მოსახლეობის მიმართვა ყრილობისადმი და შესთავაზა მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქში შექმნილი ვითარების შესახებ ყრილობის დადგენილების პროექტი.

გარდაქმნის პრობლემათა პრობლემა უწოდა დეპუტატმა **ა. ა. ოკოლოვმა** საბჭოთა სახელმწიფოს ძალაუფლების რეალურ და არა დეკლარაციულ გადაცემას. მაგრამ, განაცხადა მან, ხალხის ამ ძალაუფლების რეალური გაძლიერება რეგიონების ცხოვრებაში არ ხდება. უფრო მეტიც, მთელი რიგი უკანასკნელი კანონების, მათ შორის სახელმწიფო საწარმოს შესახებ კანონის ძალაში შესვლასთან ერთად, ეს ძალაუფლება კი არ მტკიცდება, სუსტდება. კანონების ცალკეული მუხლებისა და დებულებების, ნორმატიული აქტების არასრულყოფილებასა და არასისრულეს მთელი რიგი საწარმოები, განსაკუთრებით კოოპერატივები, კოლექტიურ-ეგოისტური მიზნით იყენებენ. ამის ერთ-ერთი მიზეზია, რომ დაუსაბუთებლად იზრდება ხელფასი, ქრება იაფი საქონელი, უარესდება ფინანსური მდგომარეობა.

ორატორი შემდეგ შეეხო სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და სსრ კავშირის ახალი მოწვევის უმაღლესი საბჭოს რეალურ შესაძლებლობებს დღეანდელობის გადაუდებელი პრობლემების — სურსათთა და ფართო მოთხოვნის, საქონლით მოსახლეობის მომარაგების, რეგიონში ეკოლოგიური წონასწორობის პრობლემების გადაჭრაში. ბევრი ამ პრობლემათაგანი, თქვა დეპუტატმა, იმით არის გამოწვეული, რომ საქონია სათანადო წესრიგი და დისციპლინა დამყარდეს ქვეყანაში ყველა დონეზე.

დღევანდელობის ყველა რთულ პრობლემაზე, ხაზი გაუსვა დეპუტატმა, იმიტომ კი არ ვლაპარაკობთ, რომ დავტკბეთ ამით და ცხადეყოთ ჩვენი უსუსურობა, არამედ იმიტომ, რომ ვიპოვოთ მათი გადაჭრის უკეთესი გზები. ამავე დროს, როცა მიღწეულ უარყოფთ, „განაცხადა მან, როცა ფეხქვეშ ვიელავთ ჩვენს წარსულს, არ შეიძლება არ დავინახოთ ზუსტად მიმართული ღონისძიებანი სოციალიზმის სახელის გასატეხად, პარტიის წამყვანი როლის უარსაყოფად, რომელმაც გააერთიანა ხალხის მეცადინეობა მწვავე პრობლემების გადაჭრისათვის.

ქვეყანაში ერების ურთიერთობის მდგომარეობაზე ილაპარაკა დეპუტატმა ესტონეთისაგან **კ. ს. ვალიკმა.** მისი აზრით, ჩვენი სახელმწიფოს ისტორიული განვითარების თოელი მიმდინარეობა გვარწმუნებს, რომ ახდა ვ. ი. ლენინის შიში, რომელიც თავის ანდერძში გამოთქვა. სწორედ სოციალიზმის სახელმწიფო-ბიუროკრატიული სისტემა, იმპერიული მართვის ცხოველუნარიანი ჩვევებია, ორატორის წინადადებით, ახლანდელი ეროვნული დაძაბულობის მიზეზები.

სადავო გახდა რა ყრილობაზე გამოთქმული თეზისი ეროვნული წინაშე სახელმწიფო საქმეთა პრიორიტეტის შესახებ, დეპუტატმა თქვა, რომ დღეს ქვეყანაში არ არის ისეთი საქმე, რომელიც ხალხებს საქმე არ იყოს. უნდა ვაღიაროთ, თქვა მან, რომ ვერ მოხერხდა კავშირის ფედერაციული მოწყობის ცდა. შეიქმნა უნიტარული სახელმწიფო ფედერაციული საბჭოთა �tეტი. მან წინადადება შემოიტანა აგრეთვე აამაღლონ ავტონომიურ ფორმირებათა სახელმწიფო-სამართლებრივი სტატუსი, გაზარდონ მათი რიცხვი, აღმოჩენენ ისინი საავტონომიური ელექტროსადგურის მშენებლობა. საექსპერტო კომისია კი, რომელიც ამის გამო საზოგადოებრიობის შეშფოთებასთან დაკავშირებით შეიქმნა, ჯერჯერობით არ ჩქარობს საქმის დაწყებას.

ყრილობის პატივისცემის, კულტურის, ამაღლების და, მაშასადამე, მისი მუშაობის ეფექტიანობის გაზრდის მოწოდებანი გაისმა დეპუტატ **ნ. ა. კასიანის** გამოსვლაში. მან თქვა, რომ გარდაქმნის პროცესმა ფართოდ გაუღო კარი დემოკრატიას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მაღალი ტრიბუნა შეიძლება გამოყენებული იყოს არა საქმისათვის, არამედ „საზოგადოების გულის მოსაგებად“ კარგახსნილი მუშაობისათვის.

ჩვენ, განაგრძო ორატორმა, ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ, — და უწინარესად ჩავებათ მუშაობაში კრიზისული მდგომარეობიდან ქვეყნის გამოსაყვანად. დეპუტატი შეეხო ერთ-ერთ ასეთ გადაუდებელ ამოცანას და ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საჭიროა დაჩქარდეს მანუალური თერაპიის ცენტრის მშენებლობის საკითხის გადაწყვეტა. ასეთ ცენტრზე მოთხოვნილება ძალიან დიდია. ამ დარბაზში, თქვა ორატორმა, ახლა ბევრია ისეთი, ვისაც პირადად მე დახმარება გავიწევე. ასეთი დახმარება კი ათასობით ადამიანს სჭირდება.. მან გამოთქვა რწმენა, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო რეალურ დახმარებას გაუწევენ ასეთი ცენტრის მშენებლობას, სადაც იქნება სტაციონარი, პოლიკლინიკა და სასადილო.

დეპუტატი შეეკამათა ზოგიერთ ორატორს, რომლებიც, მისი აზრით, ყრილობის ტრიბუნას იყენებენ იმისათვის, რომ ხაზი გაუსვან ჩვენი ცხოვრების უარყოფით მხარეებს. ორატორის აზრით, ასეთი პოზიცია ობიექტური არ არის. მან დიდი ყურადღება დაუთმო სოფლის განვითარების პრობლემებს. კერძოდ, ურჩია იმათ, ვინც მოუფიქრებელი, ნაჩქარევი პროექტებისა და დოკუმენტების შემუშავებაში მონაწილეობს, დროებით დატოვონ ხელმძღვანელი სავარძლები, იმუშაონ და იცხოვრონ სოფლად და მხოლოდ ამის შემდეგ მოკიდონ ხელი კანონშემოქმედებას.

ორატორმა შესთავაზა დეპუტატებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიონ ნ. ი. რიჟკოვი.

დასასრულ მან ერთხელ კიდევ მოუწოდა დეპუტატებს სიმშვიდისათვის, გააზრებული დიალოგისათვის, რომელიც, როგორც მან თქვა, დაგვეხმარება „გავუფრთხილდეთ ჯანმრთელობას. გარდაქმნა კულტურული უნდა იყოს, თქვა დეპუტატმა.

თათრეთის ასსრ წარმომადგენელ სახალხო დეპუტატთა სახელით გამოვიდა დეპუტატი **ტ. ბ. მინულინი.** მან მიუსამძიმრა მეზობელი ბაშკირეთის ასს რესპუბლიკის ტერიტორიაზე კატასტროფის შედეგად დაზარალებულთ და დაღუპულთა ოჯახებს.

შემდეგ ყურადღება გაამახვილა დეპუტატის პასუხისმგებლობაზე თავისი საქმიანობისათვის. წინააღმდეგ შეეხო ფრაზა ომის ვეტერანის წერილიდან, რომელშიც წერს, რომ ფრონტზე, როცა ჯარისკაცები ბრძოლაში მიდიოდნენ, არ ეკითხებოდნენ მუშაობის ადგილს, ახლა კი რატომღაც კოლმეურნეებს არ ეკუთვნით სხვების თანასწორი პენსია. ამ წერილზე პასუხს ელის მილიონობით პენსიონერი.

დეპუტატმა შეშფოთებით ილაპარაკა ავტონომიურ რესპუბლიკაში სხვა სოციალური და ეკოლოგიური საკითხების არადაკმაყოფილებელ გადაწყვეტაზე. მაგალითად, მეცნიერთა მრავალრიცხოვანი პროტესტების მიუხედავად, მჭიდრო დასახლებული სამრეწველო რაიონის ცენტრში ქმის ნაპირას დაიწყო ავტონომიური ელექტროსადგურის მშენებლობა. საექსპერტო კომისია კი, რომელიც ამის გამო საზოგადოებრიობის შეშფოთებასთან დაკავშირებით შეიქმნა, ჯერჯერობით არ ჩქარობს საქმის დაწყებას.

შემდეგ ორატორი დაწვრილებით შეეხო ეროვნებათშორისი ურთიერთობის პრობლემას. ხალხთა მეგობრობის საბავშვო ბაღის დონეზე გულის ამაყუჩებელი განმარტება ჩვენს დროში რეალურ წინააღმდეგობებს აწყდება, თქვა მან. პრობლემისადმი დოგმატიური მიდგომის შედეგად ლენინური ეროვნული პოლიტიკის დარღვევის გამო მონოლითს დღეს ბზარი გაუჩნდა. ამის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად დეპუტატმა ის დასახელა, რომ არ ვიცავთ ეროვნული რესპუბლიკების თანასწორობას, და ამასთან ყურადღება მიაპყრო სსრ კავშირის კონსტიტუციის მთელი რიგი მუხლების, მისი აზრით, წინააღმდეგობრიობას. მან მოუწოდა გათანაბრდეს ყველა ეროვნული რესპუბლიკის სტატუსი, საკავშიროდ და ავტონომიურად დაუყოფლობის გარეშე.

თუ ყურადღებით დავუკვირდებით ყრილობის მუშაობას, აღნიშნა დეპუტატმა **ა. ი. ხელეზნიოვმა,** შეგვიძლია ვთქვათ: ყრილობა ასახავს ჩვენს საზოგადოებაში მიმდინარე დემოკრატიული განახლების, რეფორმაციული გარდაქმნის ყველა პროცესს. ამ-ობრრჩევლებთან მრავალრიცხოვანი შეხვედრები გვიჩვენებს, რომ ხალხი ემადლიერება პარტიას, ცენტრალურ კომიტეტს პოლიტიკური საღათას ძალიდან. საზოგადოების გამოფხიზლებისათვის. და ამავე დროს საფუძვლიანად, მკაცრად მოჰკითხავს პარტიულ კომიტეტებს, კონკრეტულ მუშაკებს დაშვებული ხარვეზებისათვის. ხალხი ხედავს: პარტიაში მიმდინარეობს თვითგანწმენდა, მისი ორგანიზში უფრო ჯანსაღი ხდება. მან გაიაზრა პარტიულ მუშაკთათვის ჩირქის მოცხენის ფაქტების წინააღმდეგ.

ორატორი დაწვრილებით შეეხო აგრარულ პრობლემას და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მას იგი მეურნეობრივ კი არა, პოლიტიკურ პრობლემად მიიჩნევა, ცენტრალურია ორი საკითხი — მიწის შესახებ და ადამიანების შესახებ, თუ არ მოხდა პარტიისა და სახელმწიფოს მთელი ხალხის „ურსის ძირეული შემობრუნება სოფლის საკრონებებისაკენ, თუ პრინციპულად არ შეიცვალა საინვესტიციო პოლიტიკა და არ მივუფლოვეთ ი. ი. ლენინის ბრძანებულებას „ნოვოსიბირსკისაკენ, საავადმყოფოში იამბო, რომ, როცა იგი უახლოვდებოდა, სიჩქარის მიუხედავად, იგრძნო გაზის სუნი, რომელიც ნისლივით ამოვიდა მატარებლის ფანჯრებამდე. შემდეგ გაისმა აფეთქების ხმა. კომპეტენტური ორგანოები იძიებენ მის მიზეზებს.

გამოძიების დამთავრებამდე კონკრეტულ ბრალეულთა დასახელების საკმარისი საფუძველი ჯერ არ არის. ყოველივე ამაზე იმუშავებს მთავრობის კომისია. მასში შევიდნენ სსრ კავშირის გზათა მინისტრი ნ. ს. კონარევი, სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის მინისტრი ვ. ა. ბრეიფვი, სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის მინისტრი ვ. ა. დინკოვი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლ. ა. გრომკოვი, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ი. დ. ჟურკინი, სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილე ა. დ. ვასილიევი, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ი. ე. კლოჩკოვი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ვ. ლ. გოლოროვი, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე ა. დ. ცარეგოროდცევი, რუსეთის სფსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ა. ი. პოტაპოვი, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გ. ე. აგეევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განყოფილების გამგე კ. ვ. კულაევი.

დასახულია ამოცანა — განახორციელონ ყველა ღონისძიება, რათა დაუყოვნებლივ გაუწყონ მაქსიმალური დახმარება დაზარალებულებს, ჩაბან საჭირო რაოდენობის ექიმები, გამოიყენონ მედიკამენტები, აპარატურა, დარაზმონ სამკურნალო დაწესებულებანი და დაშავებულთა გადასარჩენად. ყოველივე ეს გაკეთდა. მეზობელი დაბის მცხოვრებლებმა აფეთქებიდან ნახევარი საათის შემდეგ მიირბინეს იქ და მაშინვე დაიწყეს ადამიანების ალმოდებული ვაგონებიდან გამოყვანა.

ი ი ი ტრაგიკული ღამის ამბების ქრონიკა:

ორმოცდაბუთი წუთის შემდეგ გაჩნდა ქალაქ აშის სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს ხელმძღვანელი აშის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილესთან ერთად. შემდეგ მოვიდნენ ადგილობრივი შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების, ბაშკირეთის ასსრ შინაგან საქმეთა სამმართველოს მუშაკები, ჯარის ნაწილები, სამოქალაქო თავდაცვის ბატალიონი. 1 საათსა და 20 წუთზე გამოჩნდა პირველი აღმდგენი მატარებელი, 2 საათზე — მეორე, 2 საათსა და 30 წუთზე — მესამე. ტრაგედიის პირველ საათებში ბევრი რამ გააკეთა მოსახლეობამ.

ბინადიდისას უკვე ჩამოყალიბდა ექიმთა ათობით ბრიგადა. დღეს უკვე მოქმედებს მოსკოვის, უფის, ჩელიაბინსკის, სვერდლოვსკის, კუიბიშევის, გორკისა და ორენბურგის 2.500-ზე მეტი მედიკოსი.

სიტუაცია მძიმეა. მარტო უფის საოლქო ბავშვთა საავადმყოფოში ამჟამად 55 ბალღია.

დღეს 70 კაცი სპეციალისტი გაგზავნეს მოსკოვში: მათ სასწრაფოდ სჭირდებათ აპარატები „ხელოვნური თირკმელი“, რომლებიც უაღრესად საჭიროა დამწვრობის დროს.

ყველა ადამიანისათვის, რომლებიც ჩამოვიდნენ დასახმარებლად, არის უფასო ბინა და კვება. მოფიქრებულია დაზარალებულთა ნათესავების მიღებაც. დღეს უფაში უკვე სამასი კაცი ჩამოვიდა. მაგრამ ამომწურავი ინფორმაცია მატარებლების მრავალი მგზავრის შესახებ ჯერჯერობით არ არის. მიმდინარეობს გამოძიება, ზუსტდება დაღუპულთა და დაშავებულთა პიროვნებანი.

ჯერჯერობით ძალზე ძნელია ზუსტი ციფრების განსაზღვრა. ამისათვის სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკებს [illegible] ერის სახელი და გვარი. ეს მუშაობა მიმდინარეობს მარშრუტის ყველა სადგურში.

დღევანდელი პრესკონფერენციის მონაწილეთათვის ძნელი, ძალზე ძნელი გასაძღები იყო ლაკონიური და მშრალი ინფორმაციის ტონი. საქმე ხომ ეხება ასობით ადამიანის სიცოცხლესა და სიკვდილს, მათი ნათესავების, მთელი ხალხის ღრმა მწუხარებას. ვაფაცობა და დარაზმულობა ხელს უწყობს ასეთი მძიმე, მაგრამ საჭირო მუშაობის შესრულებას.

დღეიდან ამ მუშაობაში შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ყველამ, ვინც გულთან ახლოს მიიტანა ამ ტრაგედიის ტკივილი. პრესკონფერენციის დასასრულს გამოაცხადეს, რომ უფაში შეიქმნა დაზარალებულთა დახმარების სპეციალური ანგარიში. მისი ნომერია 704902.

• • •

მთიანეთში აშსა და უფას შორის მომხდარმა ტრაგედიამ მთელი ადგილობრივი მოსახლეობის გულისტკივილი და თანაგრძნობა გამოიწვია. მას შემდეგ, რაც ეს ამბავი რადიოთი გამოაცხადეს, ორ საათში ჩელიაბინსკის სისხლის გადასხმის საოლქო სადგურის დერეფნები გაივსო მოხალისე დონორებით.

მოთმინებით ელიან თავიანთ რიგს ახალგაზრდები და ხანდაზმულები, ბავშვებიანი მშობლები, სამხედრო მოსამსახურეები. მრავალი მათგანი მოვიდა პირდაპირ მიტინგიდან, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობას. კატასტროფის ადგილზე წასვლამდე სისხლი ჩაბარეს 20 მილიონელმა და მათმა მეთაურებმა საგანგებო დანიშნულების რაზმებიდან. დრონები გადადეს სახელმძღვანელ ო ე ბ ი პროფკავშირული მოძრაობის უმაღლესი საოლქო დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტებმა — ნორილსკელმა ვიქტორ სერენკომ და ანგარსკელმა ანდრია ზჩკალენმა. მოყვარული მეგობლები მოდიან აქ საკუთარი მანქანებით, მათ შეწყვეტეს მუშაობა ნაკვეთებში. აქვითინებენ დედებს, რომელთა შვილები აღმოჩნდნენ. ამ მატარებლებში, ხალხი თანაგრძნობით უთმობს გზას...

— არ გვახსოვს დონორთა ასეთი უწყვეტი ნაკადი, — თქვა სადგურის მთავარმა ექიმმა ნინო მაიდანიუკმა. — პერსონალი ვერ ასწრებს მუშაობას ისეთივე სიჩქარით, როგორითაც მოდიან სულ ახალ-ახალი ადამიანები, და, მართალია, ჩვენთვის ყველასათვის გასაგებია თანამემამულეთა სულიერი სწრაფვა, „მაგრამ იძულებული გავხდით მათთვის თავაზიანად გვეთხოვა არ აჩქარებულიყვნენ. მით უმეტეს, რომ ახალი სისხლი დაზარალებულთა სამკურნალოდ კიდევ რამდენიმე კვირის განმავლობაში იქნება საჭირო.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲡᲐᲢᲙᲘᲕᲠᲘ

ᲛᲗᲔᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲗᲐᲜᲐᲒᲠᲫᲜᲝᲑᲘᲗᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲘᲡᲢᲙᲘᲕᲘᲚᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲔᲮᲛᲐᲣᲠᲐ ᲢᲠᲐᲜᲡᲪᲘᲛᲑᲘᲠᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠ ᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲐᲡ

ᲣᲤᲐ, 5 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ. ს. სახნო, რ. ტუხვატულინი). გაურკვეველი ბედი, დაზარალებულებისა და მათი ახლობლებისათვის დახმარების პრობლემები, ჩელიაბინსკ-უფის რკინიგზის მონაკვეთზე ავარიის მიზეზების გამოძიება — ეს და. მრავალი სხვა საკითხი აღელვებს ახლა მილიონობით საბჭოთა ადამიანს. ფართზე ამომწურავი პასუხის გასაცემად სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის ომაღლესმა საბჭომ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ შექმნეს მთავრობის კომისია. მუშაობის პირველი შედეგების შესახებ იყო სჯა-ბაასი პრესკონფერენციაზე, რომელიც დღეს უფაში გაიმართა.

კომისიის ხელმძღვანელმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ გ. ვ. ვედერნიკოვმა წინასწარი წესით მოიყვანა კატასტროფასთან დაკავშირებული ზოგიერთი ფაქტი.

ტრაგედიას საფუძვლად უდევს ნიჟნევარტოვსკიდან უფაში პროდუქტსადენის გასკდომა. იგი ამოქმედდა 1985 წელს, მაგრამ საპროექტო სიმძლავრეს ვერა და ვერ მიაღწია. ამ სადენით ტუმბავენ პროპანს, ბუტანს, ბენზინისა და კიდევ მთელი რიგი ფრაქციების თხევად ნარევს ბაშკირეთის დედაქალაქის საწარმოებში გადასამუშავებლად. ნიჟნევარტოვსკიდან 1431 კილომეტრზე გასკდა მილი. და როგორც ვარაუდობენ, მოხდა ნახევარპროდუქტის ნაწილის გადინება, რომელსაც ხუთ ატმოსფეროზე ნაკლები წნევის დროს აქვს პროპანის, ბუტანის, ბენზინის ორთქლის ნაწილის აორთქლების თვისება. ეს ნარევი ჰაერზე უფრო მძიმეა. ამიტომ ცხელ ამინდში იგი გროვდებოდა ხევში, რომელიც მიდის რკინიგზისაკენ, მდინარის გასწვრივ, მეთანქანეებ, რომელსაც მიაყავდა მატარებელი ნოვოსიბირსკისაკენ, საავადმყოფოში იამბო, რომ, როცა იგი უახლოვდებოდა, სიჩქარის მიუხედავად, იგრძნო გაზის სუნი, რომელიც ნისლივით ამოვიდა მატარებლის ფანჯრებამდე. შემდეგ გაისმა აფეთქების ხმა. კომპეტენტური ორგანოები იძიებენ მის მიზეზებს.

გამოძიების დამთავრებამდე კონკრეტულ ბრალეულთა დასახელების საკმარისი საფუძველი ჯერ არ არის. ყოველივე ამაზე იმუშავებს მთავრობის კომისია. მასში შევიდნენ სსრ კავშირის გზათა მინისტრი ნ. ს. კონარევი, სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის მინისტრი ვ. ა. ბრეიფვი, სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის მინისტრი ვ. ა. დინკოვი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლ. ა. გრომკოვი, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ი. დ. ჟურკინი, სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილე ა. დ. ვასილიევი, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ი. ე. კლოჩკოვი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ვ. ლ. გოლოროვი, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე ა. დ. ცარეგოროდცევი, რუსეთის სფსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ა. ი. პოტაპოვი, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გ. ე. აგეევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განყოფილების გამგე კ. ვ. კულაევი.

დასახულია ამოცანა — განახორციელონ ყველა ღონისძიება, რათა დაუყოვნებლივ გაუწყონ მაქსიმალური დახმარება დაზარალებულებს, ჩაბან საჭირო რაოდენობის ექიმები, გამოიყენონ მედიკამენტები, აპარატურა, დარაზმონ სამკურნალო დაწესებულებანი და დაშავებულთა გადასარჩენად. ყოველივე ეს გაკეთდა. მეზობელი დაბის მცხოვრებლებმა აფეთქებიდან ნახევარი საათის შემდეგ მიირბინეს იქ და მაშინვე დაიწყეს ადამიანების ალმოდებული ვაგონებიდან გამოყვანა.

ი ი ი ტრაგიკული ღამის ამბების ქრონიკა:

ორმოცდაბუთი წუთის შემდეგ გაჩნდა ქალაქ აშის სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს ხელმძღვანელი აშის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილესთან ერთად. შემდეგ მოვიდნენ ადგილობრივი შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების, ბაშკირეთის ასსრ შინაგან საქმეთა სამმართველოს მუშაკები, ჯარის ნაწილები, სამოქალაქო თავდაცვის ბატალიონი. 1 საათსა და 20 წუთზე გამოჩნდა პირველი აღმდგენი მატარებელი, 2 საათზე — მეორე, 2 საათსა და 30 წუთზე — მესამე. ტრაგედიის პირველ საათებში ბევრი რამ გააკეთა მოსახლეობამ.

ბინადიდისას უკვე ჩამოყალიბდა ექიმთა ათობით ბრიგადა. დღეს უკვე მოქმედებს მოსკოვის, უფის, ჩელიაბინსკის, სვერდლოვსკის, კუიბიშევის, გორკისა და ორენბურგის 2.500-ზე მეტი მედიკოსი.

სიტუაცია მძიმეა. მარტო უფის საოლქო ბავშვთა საავადმყოფოში ამჟამად 55 ბალღია.

დღეს 70 კაცი სპეციალისტი გაგზავნეს მოსკოვში: მათ სასწრაფოდ სჭირდებათ აპარატები „ხელოვნური თირკმელი“, რომლებიც უაღრესად საჭიროა დამწვრობის დროს.

ყველა ადამიანისათვის, რომლებიც ჩამოვიდნენ დასახმარებლად, არის უფასო ბინა და კვება. მოფიქრებულია დაზარალებულთა ნათესავების მიღებაც. დღეს უფაში უკვე სამასი კაცი ჩამოვიდა. მაგრამ ამომწურავი ინფორმაცია მატარებლების მრავალი მგზავრის შესახებ ჯერჯერობით არ არის. მიმდინარეობს გამოძიება, ზუსტდება დაღუპულთა და დაშავებულთა პიროვნებანი.

ჯერჯერობით ძალზე ძნელია ზუსტი ციფრების განსაზღვრა. ამისათვის სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკებს [illegible] ერის სახელი და გვარი. ეს მუშაობა მიმდინარეობს მარშრუტის ყველა სადგურში.

დღევანდელი პრესკონფერენციის მონაწილეთათვის ძნელი, ძალზე ძნელი გასაძღები იყო ლაკონიური და მშრალი ინფორმაციის ტონი. საქმე ხომ ეხება ასობით ადამიანის სიცოცხლესა და სიკვდილს, მათი ნათესავების, მთელი ხალხის ღრმა მწუხარებას. ვაფაცობა და დარაზმულობა ხელს უწყობს ასეთი მძიმე, მაგრამ საჭირო მუშაობის შესრულებას.

დღეიდან ამ მუშაობაში შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ყველამ, ვინც გულთან ახლოს მიიტანა ამ ტრაგედიის ტკივილი. პრესკონფერენციის დასასრულს გამოაცხადეს, რომ უფაში შეიქმნა დაზარალებულთა დახმარების სპეციალური ანგარიში. მისი ნომერია 704902.

• • •

მთიანეთში აშსა და უფას შორის მომხდარმა ტრაგედიამ მთელი ადგილობრივი მოსახლეობის გულისტკივილი და თანაგრძნობა გამოიწვია. მას შემდეგ, რაც ეს ამბავი რადიოთი გამოაცხადეს, ორ საათში ჩელიაბინსკის სისხლის გადასხმის საოლქო სადგურის დერეფნები გაივსო მოხალისე დონორებით.

მოთმინებით ელიან თავიანთ რიგს ახალგაზრდები და ხანდაზმულები, ბავშვებიანი მშობლები, სამხედრო მოსამსახურეები. მრავალი მათგანი მოვიდა პირდაპირ მიტინგიდან, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობას. კატასტროფის ადგილზე წასვლამდე სისხლი ჩაბარეს 20 მილიონელმა და მათმა მეთაურებმა საგანგებო დანიშნულების რაზმებიდან. დრონები გადადეს სახელმძღვანელ ო ე ბ ი პროფკავშირული მოძრაობის უმაღლესი საოლქო დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტებმა — ნორილსკელმა ვიქტორ სერენკომ და ანგარსკელმა ანდრია ზჩკალენმა. მოყვარული მეგობლები მოდიან აქ საკუთარი მანქანებით, მათ შეწყვეტეს მუშაობა ნაკვეთებში. აქვითინებენ დედებს, რომელთა შვილები აღმოჩნდნენ. ამ მატარებლებში, ხალხი თანაგრძნობით უთმობს გზას...

— არ გვახსოვს დონორთა ასეთი უწყვეტი ნაკადი, — თქვა სადგურის მთავარმა ექიმმა ნინო მაიდანიუკმა. — პერსონალი ვერ ასწრებს მუშაობას ისეთივე სიჩქარით, როგორითაც მოდიან სულ ახალ-ახალი ადამიანები, და, მართალია, ჩვენთვის ყველასათვის გასაგებია თანამემამულეთა სულიერი სწრაფვა, „მაგრამ იძულებული გავხდით მათთვის თავაზიანად გვეთხოვა არ აჩქარებულიყვნენ. მით უმეტეს, რომ ახალი სისხლი დაზარალებულთა სამკურნალოდ კიდევ რამდენიმე კვირის განმავლობაში იქნება საჭირო.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲓᲐᲡᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ

განსაკუთრებული ორგანიზებულობა და პასუხისმგებლობა გვმართებს

ამგვარი ხანგრძლივი და მსახვრალი გვალვა დიდი ხანია არ ახსოვთ საქართველოს მინათმოქმედთ. შარშანდელი შემოდგომიდან მოყოლებული რესპუბლიკის ბევრ რაიონში მინა მაცოცხლებელი წვიმის წყლით არ გაჯერებულა. ამიტომაც ერთიანრად უჭირს მინასაც და გლეხსაც, დაილუპა და იღუპება მოსავალი. „კომუნისტი“ რეგულარულად ბეჭდავს ამ მხრივ სხვადასხვა რაიონში არსებული მდგომარეობის ამსახველ მასალებს. მდგომარეობა კი თითქმის ყველგან ერთნაირად ცუდია. თითოეულ მათგანში ზარალი ათმილიონობით მანეთს აჭარბებს.

ამ მხრივ საერთოდ რესპუბლიკაში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით ინტერვიუ ვთხოვეთ საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ლუდვიგ ღურწკაიას.

— ბატონო ლუდვიგ, როგორი მდგომარეობაა ამჟამად შექმნილი რესპუბლიკაში გვალვის გამო და რომელი დარგები დაზარალდა ყველაზე მეტად?

— ხანგრძლივმა გვალვამ სოფლის მეურნეობის ყველა დარგი თითქმის ერთნაირად ძმიმედ დაზარალა. აუნაზღაურებელია რესპუბლიკის სამარცვლე მეურნეობის ზარალი, კერძოდ, მის ძირითად მწარმოებელ რეგიონში — კახეთში. ცუდი მდგომარეობაა ქვემო ქართლშიც. ჯერ კიდევ საგაზაფხულო თესვამდე სავსებით გაანადგურდა ერთწლიანი ნათესები ახალქალაქსა და ბოგდანოვკაში. მთლიანად კი რესპუბლიკაში ტონის მწვავე ნაკლებობის გამო 596 ათასი ჰექტრიდან საშემოდგომო და საგაზაფხულო ნათესები დაიღუპა 170 ათას ჰექტარ ფართობზე, საკვები ულტურები — 70 ათას, მზესუმზირა — 10 ათას ჰექტარზე. გადაიბრუნა 1.500 ათასი ჰექტარი ბუნებრივი სათიბები და საძოვრები.

წინასწარი გაანგარიშებით, გვალვისა და ამინდის არახელსაყრელი პროგნოზის შედეგად, საგეგმო 530-ის ნაცვლად საზოგადოებრივ მეურნეობებში მივიღებთ მაქსიმუმ 220-230 ათას ტონა მარცვლეულს. და რაც უფრო ცუდია, ეს მხოლოდ წლევანდელი გასაჭირი როდია. საქმე ის არის, რომ ამის გამო იძულებული ვიქნებით რესპუბლიკაში შემოვიტანოთ დაახლოებით 25 ათასი ტონა საშემოდგომო კულტურების თესლი, რაც ჩვენი მოთხოვნილების 50 პროცენტია. თანაც გასათვალისწინებელია ისიც, რომ დაურაღაღნებელი ჯიშის თესლის შემოტანა მომავალი წლის მოსავალზეც იმოქმედებს. მარცვლეულის რესურსების სიმცირეს გამო ვერ შევასრულებთ საკუთარი ფურაჟის წარმოების ვეგმასა და კომბინირებულ საკვებზე სასურსათო მარცლის გაცვლის დავალებას.

ცუდი მდგომარეობაა მეკარტოფილეობაშიც. ბოლნისისა და მარნეულის რაიონებში ამ კულტურების წლევანდელი ვეგეტაცია ბევრად ჩამორჩება შარშანდლისას. ამის გამო საადრეო კარტოფილის დამზადებას დააკლდება 20 ათასი ტონა. ანალოგიურად უჭირს შაქრის ჭარხლისა და თამბაქოს. დღემდე მეთამბაქოეობიდან ვიზარალეთ 37 მილიონი მანეთი. რესპუბლიკის მეჭარხლეობის ყველა რაიონში შაქრის ჭარხლის თესვა ყველგან დროულად დამთავრდა, მაგრამ გვალვის გამო ბევრგან ნათესი არ აღმოცენებულა. თუ გვალვა გაგრძელდა, აქაც დიდი ზარალი გვექნება, რომლის მოცულობის განსაზღვრა დღეისათვის შეუძლებელია.

მიმძიმს ამის თქმა, მაგრამ ძალიან ცუდი მდგომარეობაა მევენახეობაშიც. გვალვის გამო გურჯაანის, წითელწყაროსა და სიღნაღის რაიონებში ვაზს ჩამოცვივდა კვირტების დაახლოებით 30 პროცენტი. ამას დაემატა სიტუაციც, რომელმაც ექვს მაისს კახეთსა და ქვემო ქართლის რაიონებში თითქმის 22 ათასი ტონა მომავალი ყურძენი დაგვაკარგვინა.

ვითარება უარესდება დასავლეთ საქართველოშიც. მიწას იქაც აკლია ტენი, სიცხის გამო განვითარება უჭირს და ხარისხი უქვეითდება ჩაის ნაზ ფუყეს, რომლებიც დაუყოვნებლივ თუ არ გადაკრიფა, ხელახლი ვეგეტაცია გაძნელდება. არც მეციტრუსეობა არიან უკეთეს მდგომარეობაში. საერთოდ კი დღესდღეობით რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსში 882 მილიონამდე მანეთის ზარალი გვაქვს.

— რახან ასე, ცხადია, მეცხოველეობასა და მისთვის საკვებწარმოებაშიც ერთობ ძმიმე მდგომარეობა იქმნება. რას გვეტყოდით ამის შესახებ?

— სანუგეშოს, სამწუხაროდ, ვერაფერს. აღმოსავლეთ საქართველოს უმეტეს რაიონებში გვალვამ თითქმის მთლიანად გაანადგურა საშემოდგომო თივთივიანი კულტურები, რამაც, ცხადია, შეამცირა მარცვლეულის წარმოება, რომლის გარკვეული ნაწილი პირუტყვის საკვებად გამოიყენებოდა. შესაბამისად შემცირდება თივის წარმოებაც, რომლითაც ამ რეგიონში საკუთარ პირუტყვსაც კვებავდნენ და დაახლოებით 30-40 ათას ტონას დასავლეთ საქართველოს რაიონებში აგზავნიდნენ პირუტყვის გამოსაზამთრებლად. ახლა კი ნათესებს უჭირს. მათი უმეტესობა ტენის ნაკლებობის გამო არ აღმოცენებულა, ხოლო რაც აღმოცენდა, ამავე მიზეზით ისიც დაღუპვის პირასაა. ეს კი მინიმუმამდე ამცირებს პირუტყვის გამოზამთრებისათვის თივის, სენაჟისა და სილოსის დამზადების შესაძლებლობას.

მდგომარეობას ისიც ამძიმებს, რომ მრავალწლიანი ბალახების ნათესებს უწყლობით უჭირს, ურწყავში კი პრაქტიკულად არ არის სათიბი მასა, რაც არა მარტო დასამზადებელი თივისა და სენაჟის მოცულობას შეამცირებს, არამედ მთელი ზაფხულის მანძილზე პირუტყვს არ ექნება მწვანე საკვები. ამავე მიზეზით აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში სამჯერ და მეტად შემცირდა ბალახის ფქვილის დამზადება, რაც საგრძნობლად გააუარესებს კომბინირებული საკვების ხარისხს. განსაკუთრებით ჭირს ელდარისა და შირაქის ზამთრის საძოვრებზე, სადაც ცხვარი პრაქტიკულად შიმშილობს. ანალოგიური მდგომარეობაა ცხვრის გადასარეკ ტრასებზეც.

— ერთი საკითხიც: ამინდი კვლავ ჭირვეულობს. ამდენად ზარალს გაზრდის საშიშროებაც არსებობს. მაგრამ ყველაფერს, რა თქმა უნდა, მთლიანად მხოლოდ გვალვას ვერ დავაბრალებთ. შესაბამისი სამსახურები ხომ უნდა ყოფილიყვნენ მზად იმისათვის, რომ ექსტრემალურ კლიმატურ პირობებს ასე არ დავეჩაგრეთ. თუმცა ეს სულ სხვა, საგანგებო მსჯელობის საგანია. ამიტომაც ახლა, როდესაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, ურემი თითქმის გადაბრუნდა, მოკლედ გვითხარით, რა კეთდება კონკრეტულად იმისათვის, რომ, სადაც ამის თუნდაც მცირედი საშუალება არსებობს, მიწას მაცოცხლებელი წყალი არ მიაკლდეს?

— პასუხი იქნებ ტრაფარეტული გამომივიდეს, მაგრამ სხვა გზა არა გვაქვს: განსაკუთრებით მომჭირნედ და გონივრულად უნდა გამოვიყენოთ წყლის ყოველი წვეთი. წყალსამეურნეო ორგანიზაციებმა შექმნილი სიტუაციის შესაბამისად უნდა განახორციელონ სპეციალური ღონისძიებები.

ამჟამად ყველა და ყველაფერი მობილიზებულია საამისოდ. ყველა რაიონში ძივლინებული არიან და ადგილობრივ მუშაკებს ეხმარებიან წყალთა მეურნეობის სამსახურის სპეციალური ბრიგადები, რათა სარწყავმა ქსელმა ნორმალურად იმუშაოს. დაზარალებულ ფართობებზე ხორციელდება აუცილებელი ღონისძიებები.

ამას გარდა, აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში გავგზავნეთ დროებითი რეკომენდაციები ამის თაობაზე, თუ რა და როგორ უნდა გაკეთდეს გვალვის საწინააღმდეგოდ და ზარალის ნაწილობრივ მაინც შემცირებისათვის. ამ რეკომენდაციებს ადგილობრივ მუშაკებს განუმარტავენ ჩვენგან მივლინებული სპეციალისტები. თუმცაღა მარცვლეულის, ბოსტნეულის, ყურძნისა და სხვა კულტურების დანაკარგის ანაზღაურება უკვე შეუძლებელია. ამიტომაც ყველაფერს ვიღონებთ იმისათვის, რომ ნაკლები დანახარჯებით ვაწარმოოთ მწვანე საკვები, ნიადაგი მოვამზადოთ შუალედური და საშემოდგომო თესვისათვის.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ამ დღეებში რესპუბლიკაში ჩამოვიდა სსრ კავშირის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის სპეციალური კომისია, რომელიც უშუალოდ ადგილებზე ეცნობა გვალვითა თუ სხვა მიზეზებით შექმნილ მდგომარეობას, განსაზღვრავს მოყენებულ ზარალს და კონკრეტულ წინადადებებსაც შეტანს შესაბამის ხელმძღვანელ ორგანოებში რესპუბლიკისათვის სათანადო დახმარების აღმოჩენის თაობაზე.

დახმარებით, ცხადია, დაგვეხმარებიან, მაგრამ ეს გამოსავალი არ არის. თითოეულმა მშრომელმა ყოველი ღონე უნდა იხმაროს, ყველამ განსაკუთრებული ორგანიზებულობა და პასუხისმგებლობა უნდა გამოვიჩინოთ იმისათვის, რომ რაც შეიძლება ნაკლები ზარალით დავამთავროთ წლევანდელი, ქართველი ხალხისათვის ყველმნრივ და ყოველნაირად მძიმე წელი.

ესაუბრა

რუსლან რუსია.



ელექტროსადგურის მეორე დაბადება

თბილისის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში დაიწყო ახალი, მეცხრე ენერგობლოკის ქვაბის აგრეგატის მონტაჟი, რომლის სიმძლავრე 300 მეგავატია. იგი ელექტროენერგიას მიმდინარე წლის დამლევისათვის მოგვცემს. სადგურის სიმძლავრის გაფართოება სინამდვილეში მეორედ დაბადებაა: სადგურის პოტენციალი ერთთორად გაიზრდება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოში ელექტროენერგიის დეფიციტის პირობებში, რაც გამოწვეულია სომხეთის ატომური ელექტროსადგურის გაჩერებით.

ამჟამად არსებული ენერგობლოკების სიმძლავრე სულ 160 მეგავატია, ხოლო სამი დაპროექტებული ახალი ენერგობლოკისა — ერთთორად მეტი. ეს გარდაქმნის თვალსაჩინო მაგალითია, რომელიც მიზნად ისახავს ეკონომიკის დაჩქარების ინტენსიურ გზას.

სურათებზე: მემონტაჟეთა კომპლექსური ბრიგადა, რომელსაც ჯემალ ჭიტაშვილი ხელმძღვანელობს; მიმდინარეობს სამონტაჟო სამუშაოები.

(საქინფორმის ფოტო).

„სქემა ნათელია, საჭიროა შეფასება...“

ბიბლიოთეკა

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი - ბატონი ფურნალისტი

ირაკლი წოციერიძეს და მისცა მას რამდენიმე შეკითხვა

შეკითხვა: თქვენ ბრძანდებით ერთადერთი ქართველი ჟურნალისტი, რომელიც შეხვდა და ესაუბრა გენერალ-პოლკოვნიკ როდიონოვს 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ. რას იტყოდით მისი გამოსვლის შესახებ საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე მოსკოვში?

პასუხი: ჯერ ერთი, უნდა ვთქვა, რომ როდიონოვს მე შევხვდი არა ერთხელ, არამედ ორჯერ, პირველად — ტრაგედიის „ცხელ კვალზე“ — 13 აპრილს, მეორედ — 7 მაისს. ამ მეორე შეხვედრის შესახებ მე დღეს პირველად ვლაპარაკობ. თქვენს შეკითხვაზე სწორედ ამ შეხვედრით დავიწყებ, რადგან იგი ფრიად საგულისხმო რამეს მიანიშნებს.

7 მაისს, თქვენ იცით, რომ ეს კვირა დღე იყო, დილით ადრე, ცხრის ნახევარიც არ იქნებოდა, შინ დამირეკა სარდლის ადიუტანტმა და მითხრა, გენერალ-პოლკოვნიკს სურს თქვენთან შეხვედრა და ხომ ვერ მობრძანდებოდითო შტაბში. დავთანხმდი. ჩვენ შევხვდით დღის 1 საათზე და ვისაუბრეთ თითქმის საათ-ნახევარს. მე ახლა დაწვრილებით არ მოვყვები, რაზე და როგორ ვილაპარაკეთ, ეს თავის დროზე დაიწერება. გეტყვით მხოლოდ, თუ რისთვის მოინდომა გენერალმა ჩემთან შეხვედრა: მან მთხოვა, „დამეგიწყა“ ის, რაც 13 აპრილს მითხრა, სახელდობრ, მას ძალიან აწუხებდა ჩვენი მაშინდელი საუბრის ორი მომენტი: ერთი ის, რომ მაშინ მითხრა, 9 აპრილის დამსჯელი აქციის ნებართვა პირადად თავდაცვის მინისტრმა იაზოვმა მოგცეო, და მეორე — ამ აქციის ერთობლივად ჩასტარებლად თავდაცვის სამინისტრო და სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტრო, ალბათ, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შეგვაერთაო. როდიონოვის ესოდენი შეშფოთება ამ „საიდუმლოს“ გამქელავნების გამო კიდევ ერთი დამადასტურებელია იმისა, რომ მოსკოვი ადრევე იყო საქმის კურსში სამხედრო ძალის გამოყენებით უსანქციო დემონსტრაციის დარბევის შესახებ. თუმცა, დღეს ეს უკვე ყველამ იცის. ასეა თუ ისე, პირადად ჩემთვის, რომელმაც ცხრა აპრილის უბედურების მექანიზმში ჩავიხედე, სრულიად ნათელია ამ მექანიზმის ძირითადი სქემა. იგი ასეთია: 1. რესპუბლიკის ხელმძღვანელობას არ ღმოაჩნდა უნარი სათანადო დონეზე ყოფილიყო ესოდენ ახალ და რთულ გარდაქმნა-დემოკრატიზაციის პროცესში, რის გამოც ხალხი, უწინარესად ახალგაზრდობა, იძულებული გახდა ქუჩაში გამოსულიყო; 2. მოულოდნელი ვითარებით დაბნეულმა ამ ხელმძღვანელობამ, „კარგი“ მრჩევლების მხარდაჭერით, თავის გადასარჩენად მიმართა დაშშმინების სტალინურ მეთოდს — ძალას; 3. ამავე მიზნით რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ შეცდომაში შეიყვანა უმაღლესი სახელმწიფო ინსტანციები, თითქოს საქართველოში მზადდებოდა ხელისუფლების დამობა; 4. დეზინფორმირებულმა საკავშირო ინსტანციებმა, ესოდენ „საშიში“ მდგომარეობის ლიკვიდაციისათვის, ინოფიციალურად ნება დართეს სამხედრო უწყებებს, ემოქმედათ თავიანთი შეხედულებითა; 5. სამხედრო უწყებებმა დაზიანეს ადამიანები, რომლებიც მონაწილეობდნენ მშვიდობიან დემონსტრაციაში; 6. უმაღლესმა ინსტანციებმა და სამხედრო უწყებებმა უზენაეს საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია (მუხლი 119, პარაგრაფი 14); დემონსტრანტები მოქმედებდნენ კონსტიტუციის ფარგლებში. იქიდან გამომდინარე, რომ ეს ყველაფერი უკვე კარგად იცის ხალხმა, მწამს, აუცილებელია ამას ახლავე მისცეს პოლიტიკური შეფასება სახელმწიფოსა და პარტიის უმაღლესმა ხელმძღვანელობამ და ამ შეფასების პროგრამიტიკა არ გადაბაროს კომისიებს.

რაც შეეხება სიტყვას, რომელიც როდიონოვმა წარმოთქვა ყრილობაზე, ეს არის დეზინფორმაცია. წმინდა ადამიანური თვალსაზრისით, ასე მგონია, როდიონოვს რომ დავენახე მაშინ იმ დარბაზში და ჩვენ ერთმანეთისათვის შეგვეხედა თვალებში, მას სიტყვა გაუწყდებოდა, ვეღარ შეძლებდა ეთქვა ის, რაც თქვა, თუ რა თქმა უნდა, მასში სინდისის ნატამალი მაინც არის დარჩენილი. საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენი მეორე შეხვედრისას, 7 მაისს, როდიონოვი სულ აღარ ჰგავდა იმ როდიონოვს, რომელიც მე 13 აპრილს მელაპარაკა — იგი უკვე უზომოდ თავგაზიანი იყო ჩემთან საუბარში. მან მითხრა, რომ ყველაფერი გაიაზრა და გულწრფელად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ჩაიდინა უდიდესი დანაშაული, რაც უმძიმეს ზნეობრივ ტვირთად უნდა ატაროს სიცოცხლის ბოლომდე. და უცვა, აი, ასეთი მუხანათური სიტყვა ყრილობაზე! რა უნდა იწამო ამის მერე?!. საღად მოაზროვნე ადამიანებმა არც იწამეს. აი, რა განაცხადა ცნობილმა მწერალმა, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატმა ალეს ადამოვიჩმა: „...მე შემიძლია ვთქვა, რომ აპლოდისმენტები, რომლებიც გაისმა იმ ადამიანის გამოსვლის შემდეგ, ვინც ჯარების სარდლობდა თბილისში, ჩვენი ყრილობის სამარცხვინო ფურცლად დარჩება“.

შეკითხვა: ყრილობაზე საჯაროდ წაკითხული დეპეშების შესახებ ხომ არაფერს იტყოდით?

პასუხი: მათი არსებობა მე, როგორც ყველამ, პირველად გავიგე ტელევიზიით. მაგრამ მეორე დილიდანვე შევეცადე მეპოვნა მათი დედანი და გამეგო მისი გაგზავნის ირგვლივ რამე. სამწუხაროდ, ჯერჯერობით მტკიცედ ვერაფერს ვიტყვი, რადგან აქ ისეთი დეტალებია დასადგენი, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს საბოლოო აზრის გამოტანისათვის, ეს კი შეუძლებელია ჩვენი დეპუტატთა კორპუსის მოსკოვიდან დაბრუნებამდე.

შეკითხვა: მაშასადამე, თქვენ აგრძელებთ კვლევას?

პასუხი: რა თქმა უნდა. ჯერ კიდევ ბევრი რამ არის დასადგენი და დასაზუსტებელი. მითუმეტეს, რომ მოსკოვში მომდინარე ყრილობაზე ბევრი რამ ითქვა უადრესად საგულისხმო...

კოლექტიურ სიბრძნეზე დაყრდნობით

ეს სიტყვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1988 წლის 8 სექტემბერს წარმოთქვა მაშინ საქართველოს სსრ აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა რესან კონცელიძემ. ვფიქრობთ, გამოსვლა იმსახურებს უყოყმანოდ დღეს, როდესაც ვემზადებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმისათვის, რომელიც გაანალიზებს რესპუბლიკაში შექმნილ დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებას და შეიმუშავებს ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის სრულყოფის, არსებული სერიოზული ნაკლოვანებების აღმოფხვრის, საზოგადოებრივი ძალების კონსოლიდაციის სამოქმედო პროგრამას. ცნობისათვის: ეს გამოსვლა თავის დროზე არ გამოქვეყნებული, უფრო მეტიც, პლენუმის შესახებ ინფორმაციაშიც არ არის აღნიშნული, რომ სიტყვით გამოვიდა ცენტრალური კომიტეტის წევრი რ. კონცელიძე...

XIX პარტკონფერენციის შემდეგ ჩემში მწიფდებოდა იმის აუცილებლობის შეგნება, რომ გამოსულიყავი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გულახდილი საუბრით ჩემთვის მტკივნეულის, გაცდილის, იმედებისა და ეჭვების შესახებ. დღევანდელმა მოხსენებამ, გამოსვლებმა, პლენუმის მუშაობის მიმდინარეობამ უფრო დამარწმუნა ასეთი გამოსვლის აუცილებლობაში. გარდაქმნისადმი დამოკიდებულებას, მასში მონაწილეობას ადამიანის ბედისათვის აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. მოხსენებაში გამოითქვა სავსებით მართებული აზრი, რომ კონფერენციის პოლიტიკური ფორმულები ნაკლებად ყალიბდება პრაქტიკულ ამოცანებად.

ნება მიბოძეთ, დავუბრუნდე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1988 წლის ივნისის სესიას. მაშინ დეპუტატებს განსახილველად წარედგინათ თელავის რაიონული და ქუთაისის საქალაქო საბჭოების ანგარიშები გაწეული მუშაობის შესახებ. ფაქტობრივად კი სესიამ მოისმინა ამ საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა მოხსენებები. საბჭოს ანგარიშის განხილვისა და დამტკიცების უფლება აქვს ამ საბჭოს სესიას. თელავისა და ქუთაისის საბჭოების სესიები კი არ ჩატარებულა, ესე იგი ეს ანგარიშები ფიქციას წარმოადგენენ.

თუ რა გადაწყვეტილება მიიღო უმაღლესმა საბჭომ, თქვენთვის ცნობილია: გადამუშავების შემდეგაც კი ეს იყო საბჭოების მუშაობის პროგრამის ჩამოყალიბების უბადრუკი ცდა. ყოველივე ეს ხდებოდა XIX პარტიული კონფერენციის წინ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოხსენების თეზისების გამოქვეყნების შემდეგ. ასეთ ფონზე ლაპარაკი დემოკრატიზაციაზე, მუშაობის გარდაქმნაზე, დეპუტატთა როლისა და აქტიურობის გაძლიერებაზე დეკალვირებული კატეგორიებია, იმის ცდაა, რომ ახალ კალაპოტში მოვაქციოთ მუშაობის ჩვეული მეთოდები. თითქოს არ ღირდა ამ ფაქტის მოტანა, მაგრამ ეს ხომ სახალხო ძალაუფლების უმაღლესი ეშელონია და ამგვარი „გარდაქმნის“ მაგალითი უძრაობის პერიოდის ნამების თვალნათლივი გამოვლინებაა. ესე იგი უძრაობის გამოვლინებები ცოცხლობს, ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი, ხოლო უძრაობის პერიოდი რესპუბლიკაში, ძღვნებული ვერსის საწინააღმდეგოდ, სიღრმითა და მომდინარე პროცესების ხანგრძლივობით გაცილებით უფრო რთული და სერიოზია, ვიდრე ქვეყნის სხვა ნებისმიერ მხარეში.

ბევრ თქვენგანს ახსოვს იმედებისა და ენთუზიაზმის მოზღვავება 1972-1979 წლებში, როცა რეალურობას იძენდა (ყოველ შემთხვევაში, ჩვენ გულწრფელად გვჯეროდა) ყოველგვარი მოჩვენებითობის, თვალსაჯვეის, ძმაკაცობის, პროტექციონიზმის, საქმოსნობისაგან ჩვენი სულიერი და მატერიალური ცხოვრების განწმენდის პროცესის დაწყება. როგორ გამოიცოცხლდა საზოგადოებრივი ცხოვრება, რამდენი ახალი სახელი, რამდენი აღმოჩენა, როგორ აღფრთოვანდა ხალხი, გააქტიურდა ინტელექტუალური ცხოვრება, განსაკუთრებული მიღწევები იყო ლიტერატურაში, თეატრში, მხატვრობაში, კინოში... შემდეგ კი?

როგორ დავუშვით ჩვენ ყველამ, ცენტრალური კომიტეტის წევრებმა, მთავრობის წევრებმა, დეპუტატებმა საქმის შეცვლა სტატიკურ, თანამიმდევრული მოქმედების პროგრამის ნაცვლად ცალკეული მაგალითებით დაკმაყოფილება, როგორ ვერ შევძელით მიგვეღწია ჩვენი საზოგადოების, ჩვენი რესპუბლიკის, ჩვენი ხალხის განვითარების გზების პატიოსანი, სწორი განსჯის ატმოსფეროსათვის?

რევოლუციური გარდაქმნების გარდაუვალობის დღევანდელ მარწმენამ აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი რესპუბლიკის ცხოვრების ამ უმნიშვნელოვანესი მონაკვეთის ობიექტურ და კრიტიკულ შეფასებას. ჩვენ უნდა შევიარაღდეთ ყოველგვარი დადებითი, კონსტრუქციული, შემოქმედებითით, და განვავითაროთ ისინი, მაგრამ ამავე დროს უნდა ჩავწვდეთ იმ მახინჯი მოვლენების ფესვებს, როგორიც იყო ყურძნის გიგანტური მოსავალი, „უძრავი ეკონომიკის“ ზრდის წარმოუდგენელი ტემპი ძირითადად ისეთი ფაქტორების ხარჯზე, როგორიცაა ღვინის ფალსიფიკაცია, მატყლის რეცხვის ტემპი, ხილის შებოლვა, შიდასაწარმოო პროდუქციის მოცულობის გაზრდა— ე. ი. ზრდის ტემპის სტატისტიკური, „ქაღალდის“ ფაქტორები, რომლებიც ქმნიან ანგარიშგების ასეთ არარეალურ ბაზას.

ყველაფერი ეს წარსულშია? ჩვენ უკვე ყველაფერი ვიღონეთ, რომ ასეთი ამბების განმეორება შეუძლებელი გახდეს?

დღეს რაღა გვიშლის ხელს, რომ არ დავუშვათ საკადრო პოლიტიკაში კარჩაკეტილობის თუნდაც ცალკეული ფაქტები, შევქმნათ ნებისმიერი კანდიდატურის განსჯისა და კრიტიკული შეფასების პირობები ცენტრალური კომიტეტის მდივნით დაწყებული და ყრილობის დელეგატით დამთავრებული?

ყველაზე საშინელი ის არის, რომ ჩვენ არავინ გვიშლის არც მსჯელობას, არც ანგარიშის მოთხოვნას, მაგრამ ჩვენ თვითონ გადავეჩვიეთ, უფრო სწორად, არა ვართ მიჩვეული ამას, დაუვალებლად ჩვენს აზრს არ გამოვთქვამთ, ინიციატივის გამოჩენას ვერ ვბედავთ.

დემოკრატიზაცია, როგორც პროცესი, შეიძლება ზემოდან დაიწყოს, თუმცა ჩვენი ცხოვრების პრაქტიკად იგი შეიძლება იქცეს მხოლოდ საერთო ცდით ზემოდან და ქვემოდან, მაგრამ ცენტრალურ კომიტეტში დომინანტი ჩვენ, ცენტრალური კომიტეტის წევრები უნდა გავხდეთ.

განა დასაშვებია მდგომარეობა, როცა ცენტრალური კომიტეტის წევრის მიერ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრის კრიტიკა ფაქტობრივად იმას ნიშნავს, რომ ბიუროს შემადგენლობაში ცვლილებებია მოსალოდნელი, ხოლო ამხანაგური კრიტიკა, განსაკუთრებით პირველი ხელმძღვანელების მისამართით, პლენუმზე პრაქტიკულად არც გვხვდება?

ჩვენი საზოგადოების განახლებისათვის, მორალური სიწმინდის საწყისებთან დაბრუნებისათვის საჭიროა ფარდა აეხადოს არა მხოლოდ „ფარული ეკონომიკის“ მექანიზმს, არამედ სახალხო მეურნეობაში ურთიერთობის მექანიზმის ფარულ, უჩინარ სტიმულებსაც. შეფასდეს სამეურნეო ხელმძღვანელების, სამინისტროების, უწყებების, მაკონტროლებელი და სამართალდამცავი ორგანოების მუშაობა. განსაკუთრებით უნდა იქნეს შესწავლილი პარტიული ორგანიზაციების, პარტიული კომიტეტების როლი, რომლებიც არცთუ ოშვიათად ასევე მხარს უჭერენ და წარმართავენ ფარულ ეკონომიკის ორგანიზატორებს.

ბოლომდე უნდა ჩავწვდეთ სამართალდამცავი ორგანოების მუშაკების მიერ სახელმწიფო საწარმოთა და კოოპერატიული სექტორის მფარველობის ფენომენს. საჭიროა მოვლენებს თავიანთი სახელი ვუწოდოთ.

გასაკვირია სამეურნეო ხასიათის გამოძალვის, ადმინისტრაციული ორგანოების ზოგიერთი წარმომადგენლისა და ქურდული ელემენტების თანაარსებობა. სად უნდა ვეძებოთ ამ მახინჯი ფენომენის მიზეზები, რომელიც, სამწუხაროდ, თითქმის ცხოვრებისეულ ნორმად იქცა?

ჩვენ თვითონ შევქმენით აკრძალული ზონა, დახურული არა მხოლოდ კრიტიკისათვის, არამედ კრიტიკული ანალიზისთვისაც, შეცდომებისა და ავადმყოფური ნენის კრიტიკული გააზრებისათვის, რადგან ამ თემაზე ლაპარაკი უხერხულად მიგვაჩნია. ძნელ მეცდები და მიზეზი ეს არ არის? მაშ, რაშია საქმე?

სად არის ჩვენი პარტიული პრინციპულობა, ჩვენი საზოგადოებრივი შეგნება, ჩვენი პუბლიცისტიკა, ჩვენი ჟურნალისტების არმია საყაროობის ეპოქაში? თუ ამ შემთხვევაშიც საჭიროა სანქციები, ვინმემ უნდა გააუქმოს შეზღუდვები. ნუთუ ჩვენ არ შეგვიძლია დავძლიოთ ჩვენივე აკრძალვები, თანამდებობრივი შიში, ნუთუ არ შეგვიძლია ვიხსნათ თავი საკუთარი სიმხდალისაგან?

რა დემოკრატია გვექნება, თუ ჩვენთვის უცხოა ამ ცხების ისეთი ელემენტარული კომპონენტებიც კი, როგორიცაა საყაროობა და გულახდილობა?

იმიტომ ხომ არ ვუვლით გვერდს ჩუმად ახლო წარსულის ამბებს, რომ არ გვინდა ვილაპარაკოთ ჩვენი საზოგადოების განვითარების დღევანდელი ეტაპის პრაქტიკაზე, რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების, მათ შორის ცენტრალური კომიტეტის მუშაობაში გულახდილობაზე?

ჩვენ მოვალენი ვართ დავძლიოთ თავიანი ავადმყოფობა — უძრაობა, დოგმატიზმი და გულგრილობა, რეფლექტორული მოწოწება „ჩინით“. უფროსთა წინაშე, საკუთარი მოქმედების დასაბუთებისაგან განდგომა.

გარდაქმნა, რადიკალური ეკონომიკური რეფორმა სახალხო მეურნეობაში მძიმედ და მტკივნეულად, დიდი დანაკარგებით მიმდინარეობს. პრიმიტიულია იმის ფიქრი, რომ საქმე მხოლოდ მეურნეობათა და საწარმოთა ხელმძღვანელობაში ან სამინისტროთა და უწყებათა, სახელმწიფოებრივი და სამეურნეო ხელმძღვანელობის უმაღლესი ეშელონების ბიუროკრატიულ აზროვნებასა და მოქმედებაშია.

მიზეზი გაცილებით რთულია, იგი ადამიანების პიროვნებაში, მათ ფსიქოლოგიაში დაფუძნებულ შეხედულებებსა და ჩვეულებში უნდა ვეძებოთ. საჭიროა გამოაშკარავდეს ბევრი მწარე სიმართლე, ჩირქის გამოდენა აუცილებელია, რაოდენ მტკივნეულიც უნდა იყოს ეს.

სწორედ აქ, პლენუმზე უნდა თქვას სიმართლე ისეთ მორალურ ღირებულებათა დაკნინების შესახებ, როგორიცაა პატრიოტიზმი, ეროვნული ტრადიციების სიყვარული, სიტყვის ერთგულება, მომავლის წინაშე პასუხისმგებლობა, ურთიერთობათა სიწმინდე, სიკეთე, სამართლიანობა და გულახდილობა. ეს თვისებები ჩვენ ხალხს მრავალსაუკუნოვანმა აღზრდამ და გამოცდამ გამოუმუშავა, მაგრამ ამ ზნეობრივი კატეგორიებისადმი დღევანდელი საზოგადოების დამოკიდებულება მკვეთრად შეიცვალა, რადგან საზოგადოების დიდი ნაწილი ამ კატეგორიებით აღარ ხელმძღვანელობს. საჭიროა პატიოსნად გავერკვეთ ამ ვითარებაში.

გულახდილობა არა მხოლოდ საჭირო და მნიშვნელოვანია, იგი აუცილებელია საკადრო პოლიტიკაში, იგი აგვაცილებს შეცდომებს.

რით ახსნის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობა იმას, რომ შემოაქვს წინადადებები მთავრობის შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის თაობაზე და ამ დროს საჭიროდ არ თვლის აღნიშნულ საკითხზე ჰქონდეს საკუთარი აზრი?

რა პროგრამით მიდის ადამიანი ახალ თანამდებობაზე, როგორია მისი ზრახვანი, რა საბოლოო ზედეგს ესწრაფვის იგი, რამდენი დრო სჭირდება ამისათვის, რა დახმარებას მოითხოვს?

პლენუმს შეუძლია განიხილოს ასეთი პროგრამა, შეიტანოს კორექტივები, მისცეს პარტიული განაწესი ამ ამხანაგს. იგი ხომ ჩვენი შემადგენლობიდან არის

ჩვენ ბევრ ამ ტიპის ადამიანს ვიცნობ, ბევრ ასეთ ამბავს ვიცნობ. ეს ადამიანები ბევრ ასეთ ამბავს ამ ბოლო ხანებში ეროვნულ ტელევიზიაში ყვებოდნენ. ეს ადამიანები ბევრ ასეთ ამბავს ამ ბოლო ხანებში ეროვნულ ტელევიზიაში ყვებოდნენ. ეს ადამიანები ბევრ ასეთ ამბავს ამ ბოლო ხანებში ეროვნულ ტელევიზიაში ყვებოდნენ. ეს ადამიანები ბევრ ასეთ ამბავს ამ ბოლო ხანებში ეროვნულ ტ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომისიაში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქალაქ თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მომხდარი გარემოებათა გამომძიებელი კომისია განაგრძობს მუშაობას. იკვლევს, აანალიზებს და განაზოგადებს რა მომხდარი ამბის ყველა ასპექტს, იგი ამზადებს შესაბამის დასკვნებს, აღადგენს აპრილის იმ ღამის რეალური სურათს. ტრაგედიის „ცხელ კვალზე" შეგროვილი დოკუმენტები და მასალები დაუბზარება სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის მიერ სპეციალურად შექმნილ კომისიას თანხმობა ეცხადებოდა, ამ დასკვნის ტექსტი გაიგზავნა მოსკოვში სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და საქართველოს სს რესპუბლიკიდან დეპუტატთა კორპუსის მისამართით, (იხი ქვემოთ ქვეყნდება).

მთელი რიგი სამედიცინო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების კოლეკტივების განცხადებების, აგრეთვე მიმდინარე წლის 30 მაისს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში" გამოქვეყნებული ქართველი დედებისა და წითელი ჯვრის აქტივისტების მიმართვასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება პასიურობას, საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების ხელმძღვანელობამ რომ გამოავლინა დაზარალებულთა ოპერატიული და ეფექტიანი დახმარების საქმეში, ქალაქ თბილისში მომხდარი მასობრივი მოწამვლის გამო ზოგიერთ გამოთქმასთან დაკავშირებით, კომისიამ მოისმინა ამ საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის ხვეტელანა ამირეძის ახსნა-განმარტება. განხილვის დროს აღიარეს, რომ ძირითადად დადასტურდა განცხადებასა და მიმართვაში მოყვანილი ფაქტები, რის გამოც კომისიამ დასვა საკითხი საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობაზე ს. ამირეძის ყოფნის მიზანშეუწონლობის შესახებ.

კომისიის სხდომაზე მოიწვიეს თბილისში მყოფი დასავლეთგერმანელი ექიმები ვოლფგანგ ფრიკე და იურგენ დერინგი, რომლებმაც შეკრებილთ გააცნეს მათ მიერ ქიმიური ნივთიერებებით მოწამვლის შედეგად დაზარალებულთა გამოკვლევის მიმდინარეობა. მათ აღნიშნეს, რომ მკურნალობა წარმოებს ორგანიზებულად და ეფექტურად, განაცხადეს, რომ იგი უნდა გაგრძელდეს.

განმარტება მიმდინარე წლის 18 თებერვალს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის შენობასთან მომხდარი ინციდენტის გამო კომისიას მისცა ამ უმაღლესი სასწავლებლის რექტორმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გოჩა ჩოგოვაძემ. იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ინსტიტუტთან ახალგაზრდობის მიტინგის ალკვეთის მიზეზებმა, საბრალებმა და მეთოდებმა [illegible] შეიძლება მომფინონ ნათელი 9 აპრილს. ღამით მთავრობის სახლთან მომხდარ ტრაგედიაზე [illegible] ... [illegible] 13 [illegible] დაზარალებულ ამბებთან დაკავშირებულ გარემოებებს. კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი პარმენ მარგველაშვილი.

(საქინფორმი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქ. თბილისის 1989 წლის 9 აპრილის ამბების გარემოებათა გამომკვლევი კომისიის სამგზავრეთი ქვეკომისიის

წინასწარი დასკვნა

I.

შინაგანი ჯარებისა და საბჭოთა არმიის ქვეგანაყოფები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ ქ. თბილისის 9 აპრილის მიტინგის დარბევაში, ყოველნაირად ცდილობენ დაასაბუთონ ვერსია, რომლის მოკლე შინაარსი ასეთია: შინაგანი ჯარებისა და არმიის ქვეგანაყოფები შემოვიდნენ თბილისში, რათა ძმური დახმარება აღმოეჩინათ ქართველი ხალხისათვის. ქართველ ექსტრემისტებს წამოყენებული ჰქონდათ ანტისაბჭოური მოთხოვნები, უნდოდათ ძალაუფლების ხელში ჩაგდება და საქართველოს კანონიერი მთავრობის დამონა. იქმნებოდა რესპუბლიკის საარსებო მნიშვნელობის ობიექტების ხელში ჩაგდების საფრთხე. გაკრული იყო ანტირუსული ლოზუნგები. კარგად გაწვრთნილი, ორგანიზებული ადამიანების ჯგუფები აღწევდნენ საწარმოებში, აჩერებდნენ ასობით და ათასობით ადამიანის შუშაობას, პარკებში აბრუნებდნენ სამგზავრო ავტობუსებს, ამსგავევდნენ მინებს, აღვიებდნენ შფოთს. იქმნებოდა რესპუბლიკის საარსებო მნიშვნელობის ობიექტების ხელში ჩაგდების საფრთხე. როდესაც ჯარის ნაწილები 9 აპრილს გამთენიისას მიუახლოვდნენ თბილისის სასახლის წინ მდებარე მოედანს, მათ დაინახეს გასისხლიანებული და დაჭრილი ქალები, რომლებიც ჯარისკაცებისაგან მოითხოვდნენ შველას, მაგრამ ისინი წაყწყდნენ ქართველების მხრივ სასტიკ წინააღმდეგობას. ბევრ ექსტრემისტს ეცვა აირწინაღი ან პირი დოლბანდით ჰქონდა აკრული. მათ ხელში ეჭირათ აერაზოლისა და დიხლოფოსის „ბალონჩიკები". ქალიბისა და უმეწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების გადარჩენის დროს ჯარისკაცებს ესროდნენ ქვებს, ბოთლებს, რკინის ნაჭრებს... ათობით ჯარისკაცი დაშავდა და ა. შ.

როგორც ვხედავთ, თუ არმიისა და შინაგანი ჯარების ქვეგანაყოფების ხელმძღვანელებს ვერწმუნებით, ქალები თითონ ქართველ ექსტრემისტებს დაუხოციათ, ხოლო თუ მამაკაცებიც დაიღუპნენ, ეს იმიტომ, რომ ისინი თავს ესხმოდნენ ჯარისკაცებს. მომწამვლელი ქიმიური ნივთიერება ჯარს კი არ გამოუყენებია, არამედ ექსტრემისტებმა გამოიყენეს და ხალხიც ამიტომ მოიწამლა...

ბუნებრივია, იბადება კითხვა: რისთვის სჭირდებათ ეინნიზმით შეზავებული ასეთი ყალბი ვერსია?

ასეთი ვერსია მათ სჭირდებათ, ჯერ ერთი, იმისათვის, რომ გაამართლონ იარაღის გამოყენება (იარაღში იგულისხმება როგორც ცეცხლსასროლი, ისე ეინი და მით უფრო ორლესული ნიჩბები და მომწამვლელი ქიმიური ნივთიერებები). საქმე ის არის, რომ, თუ მოქალაქეებს არავინ ესხმოდა თავს და მომტინგეებს არ უნდოდათ მთავრობის ძალის გამოყენებით დამხობა, მაშინ, როგორც ეს დაწერილებით იქნება ნაჩვენები ქვემოთ, არმიისა და შინაგანი ჯარის ნაწილებს არც იარაღის გამოყენების უფლება ექნებოდათ. მეორეც — ეს საჭიროა იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ პასუხისმგებლობა დანაშაულობათა მთელი კომპლექსისათვის და მათ შორის აკრძალული ქიმიური იარაღის გამოყენებისათვის.

II.

სინამდვილე 9 აპრილის გარემოებათა შესახებ

საბამოძიებო ქვეკომისიამ ქ. თბილისში 9 აპრილს დატრიალებული ტრაგედიის გარემოებათა გამოკვლევისა და დადგენის მიზნით შეაგროვა ასობით მოწმეთა, მტინგის უშუალო მონაწილეთა, მოშიმშილეთა, წესრიგის უზრუნველსაყოფად იქ განლაგებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების თანამშრომელთა ახსნა-განმარტებები, აგრეთვე ნივთიერი მტკიცებულებები. საგამოძიებო ქვეკომისიამ მიიღო აგრეთვე სამედიცინო და ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსკომისიების წინასწარი დასკვნები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 9 აპრილის გარემოებათა გამომკვლევი კომისიის სხდომაზე ინფორმაციით გამოვიდნენ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი შ. გორგოძე, ამავე სამინისტროს შინაგან საქმეთა თბილისის სამმართველოს უფროსი გ. გვენცაძე, რესპუბლიკის პროკურორი ვ. რაზმაძე, იუსტიციის მინისტრი ვ. შარაშენიძე, სსრ კავშირის სამხედრო პროკურორის მოადგილე, გენერალ-მაიორი ი. ვასილევი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ზ. ჩერქეზია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ფოფხაძე.

შეგროვებული ახსნა-განმარტებებისა და სხვა მტკიცებულებების შეფასების, აგრეთვე ზემოთ დასახელებული თანამდებობის პირთა გამოსვლების ანალიზის შედეგად საგამოძიებო ქვეკომისიას დადასტურებულად მიაჩნია შემდეგი:

1. 1989 წლის 9 აპრილის მიტინგის მონაწილეებს წამოყენებული ჰქონდათ მოთხოვნა სსრ კავშირის შემადგენლობიდან საქართველოს გასვლისა და 1921 წელს დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ.

ეს იყო ის კონკრეტული მოთხოვნა, რომლის განხორციელებაც სურდათ მიტინგის მონაწილეებს.

2. ამ პოლიტიკური მოთხოვნის გამოსახატავად მათ შეარჩიეს ისეთი უკიდურესად მშვიდობიანი გზა, როგორიცაა შიმშილობა. მოშიმშილეები განლაგებული იყვნენ მთავრობის სასახლის წინ მდებარე კიბის საფეხურებზე.

3. შიმშილობა შეხამებული იყო მიტინგებთან. ამიტომ, მოშიმშილეების გარდა აქ იყვნენ მოქალაქეები, რომლებიც, მართალია, არ შიმშილობდნენ, მაგრამ დროდადრო მართავდნენ მიტინგებს წამოყენებული მოთხოვნის მხარდასაჭერად.

4. იმის გამო, რომ საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობა მოშიმშილეებისა და მომიტინგეების მოთხოვნას არავითარ პასუხს არ აძლევდა, ქალაქში დაიწყო საგაფიცო მოძრაობა, რასაც თან მოყვა ზოგიერთი საწარმოს საქმიანობის შეწყვეტა ან ნაწილობრივი შეფერხება.

5. ზემოხსენებული კონკრეტული მოთხოვნის გარდა აქ იყო ისეთი ლოზუნგებიც, როგორიცაა: „ძირს კომუნისტური რეჟიმი", „ძირს რუსეთის იმპერიალიზმი", „სსრ კავშირი ხალხთა საპყრობილეა" და ა. შ.

საგამოძიებო ქვეკომისიას მიაჩნია, რომ ასეთი და სხვა ამგვარი ლოზუნგები არ ატარებდნენ მოთხოვნის ხასიათს. ისინი მხოლოდ მიტინგის მონაწილეთა და მოშიმშილეთა დამოკიდებულების გამომხატველია და, მაშასადამე, წმინდა შეფასებითი შინაარსის გამონათქვამია. ამიტომ ამ კონკრეტულ ვითარებაში მეტად მნიშვნელოვანია ერთმანეთისაგან გავიჯნოთ მოთხოვნა, რომლის განხორციელებისათვის გამოცხადდა შიმშილობა, და ლოზუნგები, რომლებიც მხოლოდ მომიტინგეთა შეფასებითი დამოკიდებულების გამომხატველი იყო, არ ჰქონდა განხორციელების რაიმე რეალური საშუალებები და არ შეიცავდა რაიმე მოქმედებისთვის მოწოდებას.

გარდა ამისა, ყოველად მიუღებელია ანტისაბჭოური გამონათქვამები ანტირუსული განწყობილების გაღვივებად მიჩიჩნოთ, ხოლო ყოველი მიტინგი, სადაც ასეთი ლოზუნგი იქნება წამოყენებული, არამშვიდობიან მიტინგათ მოვნათლოთ.

6. მიტინგის მონაწილეებს არა მარტო არ გამოუყენებიათ ძალადობა, არამედ ყოველნაირად ცდილობდნენ თვითონვე აღეკვეთათ ყოველგვარი ისეთი ქცევა, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ძალადობის გამოყენების ცდების მიმნიშნებელი იქნებოდა. როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლები ადასტურებენ, მიტინგის მონაწილეებში არ ყოფილა შემჩნეული რაიმე ისეთი მოქმედება, რომელიც მათ მხრივ მომავალში ძალის გამოყენების განზრახვაზე მიგვანიშნებდა. ეს დაადასტურა აგრეთვე მთავრობის ყოფილმა თავმჯდომარემ ზ. ჩხეიძემ.

7. 1989 წლის 8 აპრილს ქ. თბილისში შემოიყვანეს საბჭოთა არმიის ნაწილები და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარები. იმავე დღეს რუსთაველის პროსპექტზე და ქალაქის სხვა ქუჩებში ჩაიარეს ჩაჩანებმა და ჯავშნიანმა მანქანებმა. ამან გაამძაფრა ვითარება, რასაც, კერძოდ, მოყვა ის, რომ მთავრობის სასახლის წინ მოქალაქეთა რაოდენობა ერთიათად გაიზარდა.

8. 9 აპრილს დილის 4 საათზე საბჭოთა არმიისა და შინაგანი ჯარების ქვეგანაყოფებმა ამიერკავკასიის ჯარების სარდლის, გენერალ-პოლკოვნიკ ი. ნ. როდიონოვის ხელმძღვანელობით ალყა შემოარტყეს მოშიმშილეებსა და მიტინგის მონაწილეებს, სრულიად გაუფრთხილებლად დაიწყეს მათზე შეიარაღებული შეტევა ხელკეტების, გალესილი სასანგრე ხელბარების, ქიმიური მომწამვლელი ნივთიერებებისა და ზოგჯერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით.

9. ამ შეტევას, ოფიციალური მონაცემების მიხედვით, შედეგად მოჰყვა 20 ადამიანის დაღუპვა და 4000-ზე მეტი ადამიანის დასახიჩრება, ქიმიური ნივთიერებებით მოწამვლა და დაავადება.

10. ამ ტრაგედიის შემდეგ იმავე 9 აპრილს საღამოს 23 საათიდან დაწესდა კომენდანტის საათი, რომელიც საქართველოს ტელევიზიით ეცნობა ქ. თბილისის მოსახლეობას 22 საათსა და 56 წუთზე, ე. ი. 4 წუთით ადრე კომენდანტის საათის დაწყებამდე.

III.

9 აპრილის გარემოებათა იურიდიული შეფასება

9 აპრილს გარემოებათა იურიდიული ანალიზი სრულ საფუძველს გვაძლევს დავასკვნით, რომ საბჭოთა არმიისა და შინაგანი ჯარების შემოყვანამ გამოიწვია სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსის დანაშაულობანი, რომელთა შორის მთავარია:

ა) კანონის აშკარა დარღვევით საბჭოთა არმიის ქვეგანაყოფების მიტინგის დასარბევად შემოყვანა, რამაც გამოიწვია მრავალი ადამიანის დაღუპვა და ათასობით ადამიანის ჯანმრთელობის სერიოზული მოშლა.

ბ) კანონით აკრძალულ შემთხვევებში იარაღის გამოყენებამ არმიის ქვეგანაყოფებისა და შინაგანი ჯარების მიერ, რასაც აგრეთვე მძიმე შედეგები მოყვა;

გ) კანონით აკრძალული ქიმიური იარაღის გამოყენება, რამაც ადამიანთა მასობრივი მოწამვლა გამოიწვია;

დ) კომენდანტის საათის კანონის დარღვევით შემოღება, რასაც მძიმე შედეგები მოყვა;

ე) საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად მიტინგის გამართვის ადგილას მყოფ მილიციის თანამშრომელთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული;

3) ცალკეულ პირთა მიმართ ჩადენილი დანაშაულობანი.

ჩამოთვლილ დანაშაულობათა დასაბუთებისათვის მიზანშეწონლია განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

11. სსრ კავშირის კონსტიტუციის 119-ე მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი... სსრ კავშირის დაცვისა და მისი მოქალაქეების უშიშროების ინტერესებისათვის აცხადებს საომარ მდგომარეობას ან საგანგებო წესებს მთელ ქვეყანაში, აგრეთვე ცალკეულ ადგილებში— ამასთან აუცილებლად განიხილავს ამ საკითხს შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან ერთად".

ამიერკავკასიის ჯარების სარდლობამ და კერძოდ გენერალ-პოლკოვნიკმა ი. ნ. როდიონოვმა შემოიყვანა ჯარები ქალაქში და მოახდინა მისი ფაქტობრივი ოკუპაცია, თუმცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ქ. თბილისში საგანგებო ან სამხედრო წესების შემოღებაზე არ ყოფილა.

ამრიგად, ი. როდიონოვმა უხეშად დაარღვია სახელმწიფოს ძირითადი კანონი, მითითებისა ის უფლებამოსილება, რომელიც მხოლოდ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს აქვს. ამას მოჰყვა უმძიმესი შედეგი არა მარტო ადამიანთა დაღუპვისა და მათი დასახიჩრება-მოწამვლის თვალსაზრისით, არამედ მორალურ-პოლიტიკური თვალსაზრისითაც. თავისთავად ცხადია, რომ აქ დგება საკითხი საბჭოთა კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესახებ ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის, რომელმაც განსაკუთრებით მძიმე შედეგები გამოიწვია.

კერძოდ, ასეთი მოქმედება შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-80 და 278-ე მუხლებით.

12. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი პირველი მდივნის და ბიუროს ზოგიერთი წევრის ახსნა-განმარტებებიდან დასტურდება, რომ 9 აპრილის წინადღეებში თბილისში იმყოფებოდა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, არმიის გენერალი კონსტანტინ კოჩეტოვი. იგი ესწრებოდა სხდომებს, სადაც მიტინგის დაშლის საკითხები იხილებოდა. ეს უტყუარად მიუთითებს, რომ სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტრომ კარგად იცოდა მიტინგის დასარბევად შეიარაღებული ძალების გამოყენების განზრახვა, რისი უფლებამოსილებაც ამ სამინისტროს არა აქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სათანადო ბრძანებულების გარეშე.

13. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1988 წლის 28 ივლისს მიიღო ბრძანებულება, „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დროს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების მოვალეობებისა და უფლებების შესახებ".

ეს ბრძანებულება ითვალისწინებს, რომ საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად შეიძლება შინაგანი ჯარების (და არა საბჭოთა არმიის ქვედანაყოფების) გამოყენება.

ამ მიზნით შინაგანი ჯარების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება მიღება შეეძლია მხოლოდ და მხოლოდ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრს, განსაკუთრებულ შემთხვევებში კი მასვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან შეთანხმებით. მაშასადამე, ეს შინაგანი ჯარები შეიძლებოდა შემოყვანილი ყოფილიყო ქ. თბილისში 9 აპრილს მხოლოდ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის გადაწყვეტილებით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი პირველი მდივნის ჯ. პატიაშვილის თქმით, მან შიფროგრამა გაგზავნა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში ჯარების შემოყვანის თაობაზე. ეს შიფროგრამა წაიკითხეს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე. მანვე განაცხადა, რომ საქართველოში არსებული ვითარების შესახებ 9 აპრილის წინადღეებში რამდენჯერმე ესაუბრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელებს.

ქ. თბილისში მიტინგის დასაშლელად საბჭოთა არმიისა და შინაგანი ჯარების მოწვევისა და შემოსვლის შესახებ იცოდა საქართველოს სსრ რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ.

ერთადერთი, რაც მათ არ იცოდნენ, ეს იყო დარბევის დაწყების ზუსტი დრო და იარაღის სახეობა, რომელსაც გამოიყენებდნენ. სრული სიყალბე აღმოჩნდა არმიის გენერალ კ. კოჩეტოვისა და გენერალ-პოლკოვნიკ ი. როდიონოვის დაპირება, რომ მომტინგეებსა და მოშიმშილეებს ერთი ღერი თმაც კი არ ჩამოუვარდებოდათ და გამოყენებული იქნებოდა მხოლოდ ფარები და რეზინის ხელკეტები.

14. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 28 ივლისის ზემოთ მოყვანილი ბრძანებულება შეიცავს იმ შემთხვევების **ამომწურავ** ჩამონთვალს, როდესაც შინაგან ჯარებს შეუძლიათ იარაღის გამოყენება. იარაღის გამოყენების შემთხვევების ამომწურავ ჩამოთვლას ხსენებულ დოკუმენტში ის მნიშვნელობა აქვს, რომ მკაცრად შეიზღუდოს და შემოიფარგლოს იარაღის გამოყენება, მოლიანად აღიკვეთოს ჯარის ქვეგანაყოფების მეთაურთა შეხედულებით ამ იარაღის გამოყენების შესაძლებლობა.

როდისაა დასაშვები იარაღის გამოყენება ამ ბრძანებულების თანახმად?

პირველი — როცა საჭიროა მოქალაქეთა დაცვა თავდასმისაგან, რომელიც საფრთხეს უქმნის მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, თუ სხვა ხერხითა და საშუალებით მათი დაცვა შეუძლებელია.

მეორე — როცა აუცილებელია განსაკუთრებით სარეჟიმო და სხვა მნიშვნელოვან ობიექტებზე თავდასხმის მოგერიება, აგრეთვე დაცულ ობიექტებზე შეიარაღებული თავდასხმის მოგერიება;

მესამე — როცა საჭიროა მილიციის მუშაკებზე, სახალხო რაზმელებსა და სამხედრო მოსამსახურეებზე თავდასხმის მოგერიება, თუ მათ სიცოცხლეს უშუალო საფრთხე ემუქრება.

მეოთხე — როცა ხდება დანაშაულის ჩამდენი პირის დაკავება, რომელიც შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევს. და რომელსაც წაესწრეს განსაკუთრებით საშიში დანაშაულის ჩადენის დროს, როცა სხვა ხერხებითა და საშუალებებით ამ პირთა დაკავება შეუძლებელია.

ასეთია იარაღის გამოყენების შემთხვევათა ამომწურავი ნუსხა. **ყველა სხვა შემთხვევაში „შინაგანმა ჯარებმა წესრიგი უნდა დაამყარონ იარაღის გამოუყენებლად.**

როგორც ვხედავთ, ზემოთ ჩამოთვლილი არც ერთი შემთხვევა 9 აპრილს ქ. თბილისში არ ყოფილა: არც მოქალაქეებს ესხმოდა თავს ვინმე, არც სარეჟიმო და დაცულ ობიექტებზე თავდასხმის განზრახვა ჰქონია ვინმეს, არც მილიციის მუშაკებზე თავდასხმის მოგერიება იყო საჭირო და, ბოლოს, არც შეიარაღებული დამნაშავის დაკავების აუცილებლობა ყოფილა.

ამრიგად, დაარღვიეს ზემოთ მითითებული ბრძანებულების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მუხლი და იარაღი გამოიყენეს ისეთ შემთხვევაში, როდესაც ეს აკრძალულია ამ ბრძანებულებით. ყველაზე აღმაშფოთებელი ის არის, რომ გამოიყენეს ისეთი მომწამვლელი ქიმიური ნივთიერებები („სი-ესი" ანუ კ-51 და სხვა), რომელთა გამოყენება საერთოდ აკრძალულია იმ შემთხვევებშიც კი, როცა იარაღის გამოყენება დაიშვება კანონით.

სწორედ ამ დარღვევებმა მათი ერთობლიობით განაპირობა ადამიანების დაღუპვა და 4000-ზე მეტი კაცის დაავადება, რომელთა მკურნალობა ძალიან რთულად მიმდინარეობს და ჯერ კიდევ არავინ იცის, რა შედეგებია მოსალოდნელი. სწორედ მკურნალობის სიძნელეებმა განაპირობა წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლობისა და სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერ მედიკოსთა და ტოქსიკოლოგთა მოწვევა საზღვარგარეთიდან.

ამრიგად, სახეზე გვაქვს მოქმედება, რომელიც შეიცავს მკვლელობის ნიშნებს, ჩადენილს განსაკუთრებული სისასტიკით და ისეთი საშუალებებით, რომელიც საშიროებას უქმნის მრავალპირთა სიცოცხლეს.

თავის გამოსვლაში ცენტრალური ტელევიზიით ი. როდიონოვმა აღნიშნა, რომ არმიას არ გამოუყენებია ქიმიური იარაღი, რადგან მას არა აქვს ასეთი საშუალება. მისი სიტყვებით შინაგანი ჯარების ქვეგანაყოფებმა გამოიყენეს ბ ე ლ ი ცრემლმდენი მოქმედების ქიმიური საშუალებები.

დღეს უკვე საყოველთაოდ ცნობილია, რომ გამოიყენეს არა მარტო ცრემლმდენი ქიმიური საშუალება, არამედ აერეთვე ისეთი ძლიერმოქმედი მომწამვლელი ნივთიერება, როგორიცაა „სი-ესი", ანუ კ-51 და სხვა, რომელთა გამოყენება დაუშვებელია საბჭოთა კანონმდებლობით. თუ ი. როდიონოვს დავუჯერებთ, მაშინ ერთადერთი პიროვნება, რომელსაც შეეძლო ამ აკრძალული ქიმიური იარაღის გამოყენების შესახებ ბრძანება გაეცა, ეს არის შინაგანი ჯარების იმ ქვეგანაყოფების მეთაური, რომლებიც გადმოისროლეს თბილისში დემონსტრანტების დასარბევად — გენერალ-მაიორი ეფიმოვი. ამრიგად, ი. როდიონოვის განცხადებიდან გამომდინარე, სწორედ მას უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა ზემოთ დასახელებული დანაშაულისთვის.

15. არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 28 ივლისის ზემოთ დასახელებული ბრძანებულების თანახმად „აკრძალულია იარაღის გამოყენება ქალთა და არასრულწლოვანთა მიმართ — მათგან შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევების გარდა".

სწორედ რომ 20-დან 16 ქალია დაღუპული. დასახიჩრებულთა და მოწამლულთა უმრავლესობა გოგონები არიან.

ასეთ პირობებში პასუხისმგებელი პირების მიერ ფიქციად არის ქცეული ბრძანებულების პირველ მუხლში ჩამოყალიბებული დებულება, რომ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარები „თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტებით, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სახარისო წესდებებით, ამ ბრძანებულებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებით".

16. საგანგებოდ უნდა გამოვყოთ საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომელთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული.

ისევე, როგორც წინა დღეებში, 9 აპრილსაც შესაბამისი ორგანოების დავალებით მთავრობის სასახლის წინ მოედანზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად გამოყვანილი იყვნენ მილიციის თანამშრომლები. დღეს საყოველთაოდ ცნობილია, რომ მათი წინადახედული და თავგანწირული მოქმედების შედეგად დაღუპვას გადარჩა მრავალი ასეული ადამიანი. უმწეო მდგომარეობაში მყოფი ადამიანების სიცოცხლის გადარჩენაზე ზრუნვისათვის ჯარისკაცებმა და მათმა მეთაურებმა არც ისინი დაზოგეს. ბევრი მათგანი მძიმედ დაშავდა, საავადმყოფოში დაწვენეს და დღესაც განაგრძობენ მკურნალობას.

უპრეცედენტო შემთხვევაა, რომ, თუმცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 28 ივლისის ბრძანებულების მე-6 მუხლის თანახმად შინაგანი ჯარები ვალდებული არიან დახმარება აღმოუჩინონ მილიციის მუშაკებს, როცა მათ თავს ეხმიანან, თბილისში 9 აპრილი პირიქით — თვითონ დაესხნენ თავს მილიციის მუშაკებს და დაუზოგავად სცემდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ცდილობდნენ სიკვდილის პირას მყოფანი ახალგაზრდები როგორმე სასწრაფო დახმარების მანქანებამდე გადაეყვანათ.

ამრიგად, აქ ჩვენ გვაქვს იმ დანაშაულის ნიშნები, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კანონმდებლობით, სახელდობრ, მილიციის მუშაკის სიცოცხლის ხელყოფა მათ მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დროს.

17. იმას, რომ 9 აპრილს გამოყენებული იყო არმარტო ორლესული ხელბარები და მომწამვლელი ქიმიური იარაღი, არამედ ცეცხლსასროლი იარაღიც, ნათლად მოწმობს დავით ირაკლის ძე ფაილოძის დაჭრა. იგი გადაურჩა მთავრობის სასახლესთან სიკვდილს, გამოიქცა იქიდან, მაგრამ მძიმედ დაჭრეს თავის არეში ცეცხლსასროლი იარაღით. მან ორივე თვალი დაკარგა და ამჟამად მკურნალობს საავადმყოფოში. აქ საქმე უნდა გვქონდეს მკვლელობის მცდელობასთან, ამ საქმეს იძიებს სამხედრო პროკურატურა.

არმიის ნაწილებისა და შინაგანი ჯარების აღვირახსნილობა იქამდეც მივიდა, რომ ქუჩაში მოთამაშე ბავშვებსაც დაუწყეს სროლა. 9 აპრილს დაახლოებით 18 საათსა და 15 წუთზე, ე. ი. ჯერ კიდევ კომენდანტის საათის შემოღებამდე, თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, კინოთეატრ „ბათუმთან" ახლოს გამვლელმა სამხედრო ნაწილებმა უმიზეზოდ, მხოლოდ თავისი ბოროტი ქვენა გრძნობის რეალიზაციის მოტივით, სროლა აუტეხეს ქუჩაში მოთამაშე ბავშვებს, დაჭრეს ფეხში 15 წლის დათო მხტვერიშვილი. ამის დანახვაზე იქვე მყოფი 12 წლის ლევან ჩანადირი შეშინებული მოახტა თავის ველოსიპედს, რათა იქაურობის გასცლოდა. ამ დროს მას მოხვდა ოფიცრის მიერ ნასროლი ტყვია საჯდომზე და ამჟამად იგი საავადმყოფოშია. თუმცა ბავშვს ინტენსიური სისხლის დენა ჰქონდა, სამხედრო მოსამსახურეებმა ავტომატები მიუშვირეს ხალხს და არ მისცეს ბავშვის აყვანის საშუალება, სანამ კოლონამ არ გაიარა.

მაშასადამე, ჩადენილია ორი არასრულწლოვანის მკვლელობის მცდელობა, მაშინ, როდესაც საბჭოთა კანონმდებლობით არასრულწლოვანების მიმართ იარაღის გამოყენება საერთოდ დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი იარაღით ესხმიან თავს სხვებს.

18. ერთ-ერთი მძიმე დანაშაული ჩადენილ იქნა 1989 წლის 17 აპრილს სამხედრო ექსპერტების მიერ თეატრალური ინსტიტუტის შემოწმებისას. თეატრალური ინსტიტუტი შესაბამისმა სამხედრო სპეციალისტებმა იმიტომ შეამოწმეს, რომ იქ მოიწამლნენ სტუდენტობა და თანამშრომლები. შენობა გამოიკვლიე ამიერკავკასიის ქიმიური ჯარების უფროსმა, გენერალ-მაიორმა ა. ნ. ბუტკოვმა, მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების უფროსის თანაშემწემ ლეიტენანტმა ა. ი. ლიგინმა, ტოქსიკოლოგიისა და რადიოლოგიის განყოფილების გამგემ, სამედიცინო სამსახურის მაიორმა ვ. გ. სადიუკმა, რომლებიც გაფრთხილებული იყვნენ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 124[1]-ე მუხლით.

ექსპერტიზის ჩატარებაში მონაწილეობდნენ ამიერკავკასიის სამხედრო პროკურორის მოადგილე, პოლკოვნიკი ი. ა. კლიმოვი და ამავე სამხედრო პროკურატურის საგამოძიებო განყოფილების პროკურორი, მაიორი ვ. ვ. ვერეიუნი.

ზემოთ ჩამოთვლილმა სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ შენობაში არ არის არც „სი-არ"-ის „სი-ეს"-ისა და არც ქლოროეტოფენონადამეტის ან რაიმე სხვა ქიმიური მომწამვლელი გაზები.

მათი დასკვნა შედგენილია 1989 წლის 17 აპრილს. ამის შემდეგ თეატრალურ ინსტიტუტში მოიწამლა ათობით სტუდენტი და თანამშრომელი. ამიტომ აუცილებელი შეიქნა ახალი განმეორებითი გამოკვლევა, რომელიც მიენდო საქართველოს ჯანმთელობის დაცვის სამინისტროს ლაბორატორიას. ამ ლაბორატორიამ 1989 წლის 22 აპრილს აღმოაჩინა, რომ შენობაში არის ისეთი ქიმიური ნივთიერებანი, როგორიცაა ქლოროეფენონი და ბრომბენზინციანიდი. თეატრალურ ინსტიტუტში შეწყდა სწავლა და დაიწყო მომწამვლელი გაზებისაგან მისი გაწმენდის სამუშაოები.

ამრიგად, საქმე გვაქვს სამხედრო სპეციალისტების მხრივ შეგნებულად ყალბი დასკვნის მოცემასთან, რასაც შედეგად მოყვა მრავალი ადამიანის ჯანმრთელობის მოშლა, იურიდიულ ენაზე ეს იმას ნიშნავს, რომ მათი მოქმედება შეი

წართმეული სიცოცხლეზე ქვირფასი იყო

ანუ როგორ აღუდგენენ ბედუკულმართობით დაკარგულ წინაპართა გვარსა და ეროვნებას ქართველებს

— ჩემი არქივი, ჩემი გულია, — წერს მწერი საარქივო მასალით ნაწყენი იაში ბინასის ძე სულიმანოვი, იგივე ბექაძე, რომელიც წარმოშობით ახალციხის რაიონის სოფელ ორფოლიდან არის. -მას ყველაფერი ახსოვს. გადასახლებულ მაჰმადიან ქართველთა ეროვნების შეცვლა მათი სურვილების გაუთვალისწინებლად რომ ხდებოდა, ადგილობრივი ხელისუფალნი მათ თვითნებურად რომ წერდნენ თურქებად, აზერბაიჯანელებად.

დიან, მასზე და მისთანების გულსა და გონებაზე ვერავითარმა ძალამ და დრომ ვერ იმოქმედა. ვერ ჩაახშო სისხლის ყივილი, ვერ მოერივნენ.

ენით უთქმელი სევდა აწუხებდათ, სასოწარკვეთილნი დადიოდნენ ერთი ინსტანციიდან მეორეში და ცდილობდნენ აღიდგინათ დაკარგული. დაკარგული კი აუნაზღაურებელია, დაკარგული კი სიცოცხლეზე ძვირფასია.

მაშინ ხომ სხვა დრო იყო, მაშინ ძალმომრეობის ყინით აღტკინებული ფანატიკოსები აცამტვერებდნენ ყველაფერს ქართულს, ისე მოსტაცეს გვარი, ეროვნება, რამდენი ათეული დღეში, რამდენი ითხოვს წართმეულის აღდგენას, დაბრუნებას.

საამწუხაროდ, საქართველოს ისტორია ია-ვარდით არ ყოფილა მოფენილი, ქართველი გამუდმებით იცავდა თავს უცხო მოძალადეებისაგან. მტერი კი პირველ რიგში ქართველთა კულტურის საფუძვლის — მართლმადიდებლური ქრისტიანობის ამოძირკვას ცდილობდა. მის ადგილზე ძავის რელიგიის ნერგავდა, რათა ამ გზით დაესუსტებინა და მოესპო ქართველი ერი, მისი კულტურა.

მტერმა, მართალია, საწადელს ვერ მიაღწია, მაგრამ დროთა განმავლობაში მოახერხა ქართველ ხალხში დისონანსი შეეტანა იმ თვალსაზრისით, რომ თავისი რელიგია, მაჰმადიანობა დაენერგა. მაჰმადიანობა თუ ძალით ინერგებოდა ქართველ ხალხში, სხვა რელიგიური და განსაკუთრებით ქრისტიანობის ორი სხვა შტო — კათოლიკობა და გრიგორიანობა, ძალადობის გარეშე, მშვიდობიანად ვრცელდებოდა. ასე გაჩნდნენ ქართველი კათოლიკეები და გრიგორიანელები. თავდაპირველად ეს ცნებები მხოლოდ რელიგიური შინაარსის გამომხატველნი იყვნენ, განსაკუთრებით XIX საუკუნემდე, ვიდრე საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა, სახელმწიფოებრიობა ჰქონდა. სახელმწიფოებრიობის პირობებში ქართველთა ამ რელიგიურ ჯგუფებს დისონანსი არ შეჰქონდათ ერთიან ეროვნულ ეთიკურ შეგნებაში, მაგრამ სახელმწიფოებრიობის დაკარგვის შემდეგ ქართველი მაჰმადიანების კათოლიკეებისა და გრიგორიანელების ჯგუფებმა ეროვნულ-ეთიკური შინაარსი შეიძინა, რასაც ცარიზმი დიდად უწყობდა ხელს. ასე თანდათან გაჩნდა ტენდენცია და ქართველ მაჰმადიანებს თვით ქართველი ხალხი თათრებს (თურქებს) უწოდებდა, ქართველ კათოლიკებს — ფრანგებს, ქართველ გრიგორიანელებს — სომხებს. ამ ხალხსაც გაუჩნდა ზრაქართველური თვითშეგნება. XIX საუკუნეში ცარიზმის დროს, ისინი ოფიციალურ იურიდიულ დოკუმენტებში არაქართველებად ჩაწერეს. ეს განსაკუთრებით ითქმის ქართველ გრიგორიანელებზე.

ასეთი მძიმე იყო რელიგიის გავლენა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, ფაქტობრივად ერთმანეთთან იყო. გაიგივებული ეროვნება და სარწმუნოება.

ხოლო რაც შეეხება მაჰმადიან ქართველებს, მათი მოკლე ისტორია ასეთია. XVI საუკუნის შუაწლებში საქართველოს (სამცხე-საათაბაგოს სამთავროს) გაუმეზობლდა თურქეთი, რომელმაც ჩვენი ქვეყნის განაპირა მხარეების დარბევა დაიწყო. სამეფო-სამთავროებად დაშლილი საქართველო მომხდურს შესაფერის წინააღმდეგობას ვერ უწევდა. ამ საუკუნის ორმოცდაათიანი წლებისათვის თურქებმა საქართველოს სამხრეთით უკვე ტაოსა და ბასიანის მხარეები მოსტაცეს და იქ თურქული ადმინისტრაციული ერთეული შექმნეს, რომელსაც გურჯისტანის ვილაიეთი უწოდეს. შემდეგ გურჯისტანის ვილაიეთი ახალ დაპყრობილ ნაწილებთან (სამცხე-ჯავახეთი, კოლა-არტაანი, ერუბეთი, კლარჯეთი და სხვა) გაიერთიანეს ერთ— გურჯისტანის ვილაიეთად და ჩინდირის ანუ ახალციხის საფაშო უწოდეს. 1595 წელს ახლად დაპყრობილი მოსახლეობა კომლობრივ აღწერეს. და ამ დავთარს გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი უწოდეს, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია. მესხთა საუკუნოვანი ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის მარცხით დამთავრდა. მე-17 საუკუნის 20-იან წლებში დამპყრობლებმა მესხეთის ქართველი მთავრების წინააღმდეგობა გატეხეს და ისინი გაამაჰმადიანეს. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ქართული სოციალურ-პოლიტიკური წყობა იცვლებოდა თურქული სოციალ-პოლიტიკური წყობით.

გვარსა და მამულიანობაზე აგებული ფეოდალური ურთიერთობა იცვლებოდა მიწათმფლობლობისა და მიწათსარგებლობის თურქული წესით.

XVIII საუკუნის დასაწყისისათვის მესხეთის ფეოდალთა კლასი რელიგიურად უკვე მაჰმადიანობდა და სუნნა სენტასთან იყო დაკავშირებული, რაც შეეხება მესხეთის ქართველ გლეხთა გამაჰმადიანებას იგი ძირითადად XVIII საუკუნეში დაიწყო და ბოლომდე ვერ დამთავრდა.

1828-1829 წწ. მესხეთის ერთი ნაწილის (სამცხე-ჯავახეთის) განთავისუფლების შემდეგ იქ მცხოვრებ გამაჰმადიანებულ ქართველობას ცარისტულმა ხელისუფლებამ ჯეროვანი ყურადღება არ მიაქცია. უფრო მეტიც, მათი ნაწილი შემოერთების შემდეგ აყარა და გაასახლა თურქეთის სიღრმეში. ადგილზე დარჩენილნი კი, რომელთა უმრავლესობა ჯერ კიდევ მშობლიურ ქართულ ენაზე მეტყველებდა, მაჰმადიანობის გამო თურქებად აღირიცხა და ანატოლიიდან შემოყვანილი მოლების წყალობით ისედაც ფანატიკოს მაჰმადიანებს საბოლოოდ უბნია გზა-კვალი. საყურადღებოა ვიცოდეთ, რომ შემოერთების შემდეგ მესხეთის თვალაცთა სურვილი — თავიანთ ქვეშევრდომებთან ერთად დაბრუნებოდნენ წინაპრების სარწმუნოებას, ოფიციალურმა ხელისუფლებამ არ შეიწყნარა. ქართველ ქრისტიანთა და მაჰმადიანთა უფლებრივად სხვადასხვა მდგომარეობაში ჩაყენებამ, მათი სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრებისა და სწავლა-განათლების საკითხის მოუგვარებლობამ ისინი ერთმეორეს დაამორა კულტურულადაც. ადგილობრივ მეჩიფთებში ჯაზრდილი და შემდეგ არზრუმში, ბაქოსა თუ სტამბოლში სასწავლებლად წასულ მესხ ფეოდალთა შვილები სამშობლოში ბრუნდებოდნენ განსხვავებული შეხედულებებით. პანისლამური და პანთურქული იდეებით გაჟღენთილი ეს ახალგაზრდები, ვითარცა ისლამის ფანატიკური მიმდევრები, პირველ რიგში ვნებდნენ თავიანთ სამშობლოს, რამაც თავისი მძიმე ნაყოფი გამოიღო 1917-1919 წწ. მესხეთში დატრიალებული ამბების დროს.

უფრო სამწუხარო კი ისაა, რომ მესხეთის მაჰმადიან ქართველთა საკითხი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ უფრო აირ-დაირია და დამძიმდა. XIX საუკუნეში შეცდომით თურქებად მიჩნეული ქართველი მესხები XX საუკუნის 30-იან წლებში აზერბაიჯანელებად მონათლეს. აზერბაიჯანული კადრებიც, მოამარაგეს და აზერბაიჯანული სკოლები გაუხსნეს. ამას კი მათი თურქებად და აზერბაიჯანელებად აღრიცხვა მოჰყვა, მესაბამისად ქართული გვარებისა და ეროვნებების გადაკეთებაც ხდებოდა.

მესხეთის გამაჰმადიანებულ ქართველთ გლეხთა ერთი ნაწილი მშობლიური ენასა და გვარს ვერ ელეოდა და იბრძოდა ქართული სკოლების გახსნისა და ქართული სწავლების შემოღებისათვის. სამამული ომის წინ ამ ბრძოლამ თავისი ნაყოფი გამოიღო. სამცხე-ჯავახეთის ბევრ სოფელში გაიხსნა ქართული სკოლა და თითქმის შეეშალა პირობები ისტორიული უსამართლობის გამოსწორებისათვის, მაგრამ მესხეთის ქართველობას საამისოდ აღარ აცალეს. 1944 წლის ნოემბრები ყველა ისინი „თურქის“ სახელით გაასახლეს მესხეთიდან შუა აზიის რესპუბლიკებში. გახასლებულ მესხთა შთამომავლობამ, სამწუხაროდ, დღეს აღარ იცის მშობლიური ენა. ბოლო ათი წლის განმავლობაში, მათმა ერთმა ნაწილმა, 200-მდე ოჯახმა მოახერხა საქართველოში დაბრუნება.

საბჭოთა ეთნოგრაფიულ მეცნიერებას მიაჩნია, რომ ადამიანი უნდა ეკუთვნოდეს იმ ეროვნებას, რომელსაც ის თავისი თვითშეგნებით აღიარებს მისი წარმომავლობის მიუხედავად. მით უმეტეს, რომ ჩვენ დღეს საქმე გვაქვს ეთნიკურად არა სხვა წარმომავლობის ადამიანებთან, რომლებიც ქართული ეროვნებისადმი მიკუთვნებას თხოულობენ, არამედ წარმომავლობით ქართველებთან.

ქართული საისტორიო საბუთები და ეთნოგრაფიული მონაცემები (ვადმოცემები) დღეს იმის საშუალებას იძლევა, რომ გაირკვეს ქართველ მაჰმადიანთა ნამდვილი გვარები და დაუბრუნონ ისინი წინაპართა ეროვნებას, დაამყაროფილონ მათი სამართლიანი მოთხოვნა, ეკუთვნოდნენ მამა-პაპათა ეროვნებას.

ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე დარდაქმნის პროცესებმა საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მიმართულებად პიროვნების ყოველმხრივ განვითარება, მისი უფლებებისა და თავისუფლებების დამკვიდრება დაისახა. შესაბამისად, დღის წესრიგში ეროვნული და ისტორიული სამართლიანობის აღდგენა, რათა გასწორდეს ადრე დაშვებული, შეცდომები, თუ კანონის დარღვევები. ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა შესახებ უურადღება გამახვილდა საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზეც.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, სხვა სახელმწიფო დაწესებულებებს წლების განმავლობაში მრავალრიცხოვანი კოლექტიური თუ ინდივიდუალური განცხადებით მიმართავენ საქართველოში მცხოვრები მოქალაქეები, რომლებიც აღნიშნავენ, რომ წარმომავლობით არიან ქართველები და დღესაც ქართული ორგანიზმის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ, მაგრამ ისტორიული ბედუკულმართობისა, ამჟამად დაკარგული აქვთ პირვანდელი გვარები და მიეკუთვნებიან არაქართულ ეროვნებებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაეინებრი მოითხოვენ მათი ნამდვილი წარმომავლობისა და გვარების აღდგენას, მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტებში შესაბამისი შესწორებების შეტანას. 1989 წლის მოსახლეობის საკავშირო აღწერისას ბევრი მათგანი ქართველად ჩაიწერა.

ამჟამად საქართველოში მცხოვრები ქართული წარმომობის მოქალაქეების ბევრი გვარის შესახებ არ არის შემორჩენილი დოკუმენტური მასალა, მათი მოქალაქეობრიობის დამადასტურებელი საბუთები განადგურებულია, ამდენად აუცილებელი ხდება ფართო სამეცნიერო კვლევა, ეთნოგრაფიული და ლინგვისტური (ტოპონიმიკური) მეცნიერების მონაცემებზე დაყრდნობა. სწორედ აქედან გამომდინარე, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიამ თა შორის მხოლოდ ერთს — ახალციხეში მცხოვრებ ლადო ბერიძეს აქვს შენარჩუნებული ქართული ეროვნება და გვარი. დანარჩენ შემთხვევებში ქართული გვარის მატარებელსაც კი ეროვნება უწერიათ თურქი, უზბეკი თუ აზერბაიჯანელი.

კომისიამ გულდასმით შეისწავლა მაჰმადიან ინგილოთა საკითხი. აზერბაიჯანის სსრ კახის, ზაქათალისა და ბელაქნის რაიონების მკვიდრ მოსახლეობას ისტორიულად ქართველები შეადგენდნენ, რომლებიც, გამაჰმადიანების პროცესსის მიუხედავად, წლების განმავლობაში ინარჩუნებდნენ ქართველობას. 20-იანი წლების აზერბაიჯანის სსრ ოფიციალურ აღწერებში ქართული მაჰმადიანური სოფლების მოსახლეობა ფიგურირებს როგორც „ინგილო“, აგრეთვე „ქართველი“ და „თურქი“. მორიგ აღწერაში კი, 1939 წელს, ყველა მაჰმადიანი, მაჰმადიან ინგილოთა ჩათვლით, ფიგურირებს, როგორც „აზერბაიჯანელი“.

დღეს ქართული წარმომავლობის მოქალაქეები სამართლიანად მოითხოვენ ქართული ეროვნებისა და გვარების აღდგენას.

გაითვალისწინა რა იმ მოქალაქეთა დაჟინებული მოთხოვნა, აგრეთვე ის გარემოება, რომ ენით, ტრადიციებით, ყოფით, კულტურითა და თვითშეგნებით, ისინი მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი საქართველოსთან, 1989 წლის მოსახლეობის საკავშირო აღწერის დროს მრავალი მათგანი ქართველად ჩაიწერა, კომისიამ მართებულად მიიჩნია ურთიერთობათა ამ სფეროში დაშვებული ისტორიული უსამართლობის გამოსწორება და მიზანშეწონილად ჩაცვალა საქართველოში მცხოვრები ქართველების წარმომავლობის მოქალაქეთა, გრიგორიანელ, კათოლიკე და მაჰმადიან ქართველთა (მესხთა და ინგილოთა) და სხვათა, ქართული ეროვნებისა და გვარების აღდგენა.

ამ ცოტა ხნის წინ კომისიის წევრები კვლავ შეიკრიბნენ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე, რომელმაც საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სისტემის და მის მეთოდურ დაქვემდებარებაში მყოფ მუშაკთა პროფესიულ და მოქალაქეობრივ საპატიო მოვალეობად ჩათვალა ისტორიული ბედუკულმართობის გამო დაშვებული პოლიტიკური, სოციალური და ეროვნული უსამართლობის გამოსწორება და დაავალა მათ ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ნებაყოფლობით საწყისებსა და კანონიერ საფუძვლებზე საქართველოს სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართული წარმომავლობის მოქალაქეებს ეროვნებისა და გვარების აღდგენაში.

რესპუბლიკის მმაჩის რაიონულ (საქალაქო) განყოფილებებს რეკომენდაცია მიეცათ დაუყოვნებლივ გამოეხმაურონ მოქალაქეთა განცხადებებს და აზოგოს ეროვნებისა და გვარის აღდგენის შესახებ, გამოიჩინონ განსაკუთრებული სითბო და გულისხმიერება მათ მიმართ, არ დაუშვან ფორმალურ-ბიუროკრატიული მიდგომა ამ საკითხებისადმი, საქმიანობა წარმართონ სხვა ერების მიმართ შესაბამისი ტაქტის დაცვითა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. ამასთან, თითოეული მოქალაქის გვარისა და ეროვნების აღდგენისას იმსჯელონ შესაბამისი რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან ერთად და საკითხი გადაწყვეტონ კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, კანონმდებლობით დადგენილი წესებითა და ვადებში მოახდინონ აღნიშნულ მოქალაქეთა დაბადების საკტო ჩანაწერებთა აღდგენა-შესწორება, შესაბამისი მოწმობების გაცემა. სადავო საკითხების წამოჭრისას მიმართონ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს მოსახლეობისა და სოციალისტურ ორგანიზაციათა სამართლებრივი მომსახურების განყოფილებას.

საქართველოს სსრ საბალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს ეფიროკოთ ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ მმაჩის განყოფილებებს ქართული წარმომავლობის მოქალაქეთა გვარებისა და ეროვნების აღდგენაში.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ეთხოვა შესაბამისი მეთითება მისცეს მის დაქვემდებარებაში მყოფ საპასპორტო სამსახურებს აღდგენილი დაბადების მოწმობების საფუძველზე ოპერატიულად მოახდინონ მოქალაქეთათვის შესაბამისი პასპორტების გაცემა.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს მოსახლეობისა და სამართლებრივი მომსახურების განყოფილებას, მმაჩის რესპუბლიკურ არქივს დაეგზავნა უზრუნველყონ მმაჩის ორგანოებისათვის საკტო ჩანაწერთა აღდგენა-შესწორებისათვის საჭირო საარქივო მასალების დროული მიწოდება.

• • •

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ იცოდა რა საშური საქმესაც ადგომდა თავს, ამიტომ ფლიან სწრაფად დაამუშავა მასალები. უკვე არაერთი ქართველის დიდი ხნის ოცნებას შეეხსა ფრთები; ამ დღეებში იუსტიციის სამინისტროს კომისიის წევრები ეწვივნენ სხვადასხვა რაიონებში მცხოვრებ მესხებს და 26 მოქალაქეს საზეიმო ვითარებაში გადასცეს დამდებები მოწმობები და პასპორტები მათი წინაპრების გვარებითა და ეროვნებით.

მარადი ანასაშვილი.



„მშვიდობით, საბავშვო ბაღო!“

ასე დაემშვიდობა სკოლამდელთა აღზრდის კერას 170 ბავშვი საქართველოს დედაქალაქის საქარხნო რაიონის № 22 ბაგა-ბაღის გამოსაშვებ დილაზე. მაგრამ მათგან 60 ბავშვი, თაობისებური კონკურსის გავლის შემდეგ, შეძლებს გაგრძელოს თავისი მშობლიური ბაღი და „ეამარობა, ჩემო საბავშვო ბაღო, ბენ-ბენ“ — რაიონული ნასალიბო გაართლების — განსაკუთრებული გამგეს თამაზ ნაცვლიშვილმა შესაფერი თანდგომა გამოიჩინა: საბავშვო ბაღისათვის გამოყო დიდი თანხა, რითაც შეიძინეს ორი ვიდეომონიტორი „ელექტრონიკა“, რომლებიც კომპიუტერის კლასში დადგეს, ეს საშუალებას აძლევს ბავშვებს დაეუფლონ ანბანის საფუძვლებს, ციფრულ და გრაფიკულ ინფორმაციებს.

ბავშვებს კომპიუტერული ცოდნის ანბანს შეასწავლის სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება „ანალიზისაწყოს“ მეცნიერი თანამშრომელი ვალერი ხუბრელაშვილი.

სურათებზე: ზემოთ № 22 ბაგა-ბაღში; კომპიუტერის კლასში.

საქინფორმის ფოტო.

თეთრი წუხილი

ქსოვრისელმა კარლო საკაკაშვილმა საკუთარი ინიციატივით გაანათა და კეთილმოაყოლ ბოდორნის ღვთისმშობლის ეკლესია.

მაისის თაფლის სურნელია ბოდორნაში. შაშვები უგალობენ არაგვის ჭალებს.

ბოდორნა.

ბინდი.

თეთრი ეკლესია — სისპეტაკე მარადიული.

არაგვისპირის ატეხილი ჭალები — ბარათაშვილის სულის სიმღერა, დიდი ილიას სულის სავანე!

ბინდი ქართული!

ცვილისფერი მერქალი შუქი ელაციცება ბოდორნას.

რა მაისია, რა საგალობელი! რა არაგვისპირი, როგორი შეღამება!...

ქართლი. ქართლურ მაისში ნებივრობს. ირგვლივ ჯვარპატიოსნობაა, ცეცხლისჯვრობაა! ზედაზნობა და დიდგორობაა!

დღესასწაულია ქართველთა!

მაგრამ... აპრილის დარდიცაა! ნაღველია ხმაში, სიტყვაში, სიმღერაში, ამ შაოსან შაშვთა გალობაშიც!...

ამიტომაცაა უცნაური ეს გაზაფხული!

უკვე ბინდდება. ნელა მივიწევთ მაღლა.

იქ, ზემოთ, სულიწმინდის გადმოსახედია.

იქ, ზემოთ, ეკლესიაა, კარლო საკაკაშვილს რომ გაუნათებია.

და განა, მარტო ეს? როგორ დაუწკრიალებია აქაურობა!

რაოდენი რუდუნებაა!

რაოდენი ღვთისმოსაობაა!

კარლო საკაკაშვილო, რამ გაგსარჯა, რამ შეგანუხა?!..

ფუჭი კითხვები კია, მაგრამ... შენნაირებიც რომ თითოოროლაა ამქვეყნად?!

შენვე მიგვიძღვები შენი მოწადინებით გაჩირაღდნებული ეკლესიისკენ! გვესაუბრები და თავადაც ქართული სიდარბაისლით, ქართული პატიოსნებითა ხარ განათებული! რა მართალს ამბობ: ღმერთს თუ ზურგი ვაქციეთ, მადლის ანგელოზი პირს აღარ იზამს ჩვენსკენო!

ღმერთმა გისმინოს, ჯვარპატიოსნობისკენ იყოს პირი ჩვენი!

აჰა ბოდორნაც. ღმერთო, რამდენი სანთლებია ირგვლივ: რა სიწყნარეა, რა გადასახედია! არაგვის ჭალაც რომ შაშვისფერია?!

რას ფიქრობ, კარლო საკაკაშვილო, ამ წუთას? ცხონებული პაპაშენი ვასო ხომ არ გაგონდება?

მკლავს დაიკარწახებდა თურმე, მამაპაპურ ქვევრში ხელადას ჩაჰყოფდა, შუა ქვევრის ღვინით გაავსებდა და იმ ზედაშეთი დალოცავდა და სხვებსაც ადღეგრძელებინებდა ჩვენს წმინდა სალოცავებს...

ბოდორხა, ღვთისმშობლის ეკლესია. აქ ისეთი სიწმინდეა, იმსელა სუნთქვაა, იმგვარი სილაჟვარდე და „უცხო სამოთხეები“, რომ... საცაა, თავად გალაკტიონიც მობრძანდება. პოეტებმა ხომ წინასწარ იციან უამრავი იდუმალება.

მათ ისიც უწყიან, რაც მოელის ქვეყანას, ერსა თუ ბერს.

მაშ, რამ ათქმევინა პოეტს თვრამეტი წლით ადრე: „უფლისცხოვანთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი არა დაღვრილის — დასაღვრელის, ალბათ მაცნეა“... ხომ მართლა დაიღვარა? ხომ დაღვარეს? ხომ დაგვაღვრევინეს?! განა, ჩვენს დღევანდელ ყოფას არ ეხმიანება გალაკტიონი, მისეული მქერდავი ღიმილით: „მთვარის ჩრდილი ბაღს ეფინა ქარგად, მაშინ, როცა სადღაც ხმაა თარის, ყველაფერი არის ძლიერ კარგად — ყველაფერი ძლიერ ცუდათ არის...“

კარლო საკაკაშვილო, ასწიე ეგ ჭიქა — ქართლური ჩინურჩინებულით სავსე, შხეფიანი, ცრემლიანი და თქვი მათი მოსაგონარი! ...თუმცა, რომელი დღე ჩაივლის დალუპულთა ხსოვნის გარეშე?!

თქვი, მეორედაც, კარლო საკაკაშვილო! გზა-მართალს წასული წინაპრები მოიგონე. პაპაც ახსენე, 89 წლის კაცი, თოკი რომ შეიბა კისერზე! პაპაშენივით განა ბევრს აუსრულებია ნათქვამი: როგორც კი ქვევრის მოხდას ვეღარ შევძლებ, იმ დღიდან თავს არ ვიცოცხლებო!.

შენც შუა ღვინით დაილოცე, თორემ... კვლავაც: „...მშვენიერია ორ — ზღვას-შუა კავკასის ხედი და კითხვა: „ვინ ვის?!“ ბებერ გულში ლახვრად მაჩნია... არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი, არავითარი სხვა გზა, სხვა ხსნა არ გამაჩნია!“

მაისის სურნელეო, თავისუფლების სიმსუბუქე! ქართული გაზაფხულის ბინდია ბოდორნაში. არაგვის ჭალებიდან მგლოვიარე შაშვების კუთვნა ამოისმის.

ბოდორნა.

ბინდი.

თეთრი წუხილი...

სანთლისფერში თვლემს ღვთისმშობლის ეკლესია და ციცხარ კალატოზს ამოყავს ხვალინდელი „რწმენის კედელი“.

ჯემალ დავლიანიძე.

ბოდორნა.

ავტორის თხოვნაა, კუთვნილი პონორარი გადაირიცხოს 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალის ფონდში.

მრთოგისა და ძლიერების სიმბოლოდ

„ქართველმა ერმა და ისტორიამ უკვდავყო დიდებულ მეფე დავითის — საქართველოს მეგრეთიანებლის და აღმაშენებლის, მისი პოლიტიკური და ეკონომიური ძლიერების შემქმნელის, სოციალური სამართლიანობისათვის მებრძოლის სათაყვანებელი სარე. ლი. ქართველი ხალხი დავით აღმაშენებლის სამარადისო ხსოვნას თავის გულის სიღრმეში ატარებს და შეჰხარის მას, ვითარცა სრულიად საქართველოს ერთობისა და ძლიერების სიმბოლოს“, — წერდა დიდი ივ. ჯავახიშვილი.

სრულიად საქართველოს ერთობისა და ძლიერების სიმბოლოდ გადაიქცევა დავით მეფის ის ძეგლიც, რომელიც აღიმართება თბილისიდან ბორის შემოსასვლელში, დასავლეთისაკენ ზიმავალი საავტომობილო გზის გასაყართან.

აქ გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქ. გორისა და ბორის რაიონის სახელმწიფოებრიობის წარმომადგენლებმა, მაგრამ ვიდრე საქართველოს ეროვნულ სამფეროვან დროშას მეფე დავითის მომავალი ძეგლის აღდგენზე მიიტანდნენ, იგი ჯერ ბორის ციხის ქონგურებთან, გამოჩენილი მოქანდაკის ელგუჯა ამაშუკელის დიდებულ „ლომკაცთან“ ააფრიალეს, ეზიმეს ამ ძეგლის ბორში დადგმის ათი წლისთავი.

1979 წლის 26 მაისს გამოჩნდა „ლომკაცი“ ბორში.

თბილისი-ბორის გზგასაყართან გამართულ მიტინგზე, ელგუჯა ამაშუკელმა, ვისაც ბორელებმა დავითის ძეგლის შექმნა სთხოვეს, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა ილაპარაკეს ქართველთა დიდი წინაპრის გამორჩეულ ღვაწლზე, შემდეგ საბურველი ჩამოხსნეს ქვას, რომელზეც წერია: „აქ აღიმართება დავით აღმაშენებლის ძეგლი. 26 მაისი, 1989 წელი“.

ბორის საზოგადო საკრებულოს მოწოდებით, ქალაქისა და რაიონის შრომითმა კოლექტივებმა გადაწყვიტეს ძეგლი ააგონ როგორც საკუთარი თანხებით, ისე სახალხო შემოწირულობით. ქალაქის სამრეწველო საწარმოთა ფლეგმანმა — ბამბეულის საფეიქრო სამკერვალო-საწარმოო გაერთიანებამ ამ მიზნით უკვე გამოიყო 100 ათასი მანეთი.

გურამ ვაშაკიძე,
„კომუნისტის“ სპ. კორ.

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა უნალექოდ, აღმოსავლეთის ქარი 9-14 მეტრი წამში.

ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 27-32, მთებში 27-32, მაღალმთიანეთში 17-22 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში ცვალებადი მოღრუბლულობა, სუსტი ქარი, ზოგან ხანმოკლე წვიმა და ჭექა-ქუხილი, მოსალოდნელია სეტყვა.

ტემპერატურა — დაბლობ რაიონებში 27-32, მთებში 23-28, მაღალმთიანეთში 16-21 გრადუსი.

თბილისში ცვალებადი მოღრუბლულობა, სუსტი ქარი, ღამით ხანმოკლე წვიმა ჭექა-ქუხილით. ტემპერატურა 30-32 გრადუსი სითბო.

საქართველოს ს. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების საფუძველზე გაიხსნა ინჟინრების გადამზადების სპეციფაკულტეტი ტექნიკის და ტექნოლოგიის ახალი მიმართულებების დარგში.

სპეციფაკულტეტზე ინჟინრების გადამზადება იწარმოებს სპეციალობით „დაგეგმარების ავტომატიზებული სისტემები“ (სპეციალიზაცია: „წარმოების ტექნოლოგიური მომზადება“).

სპეციფაკულტეტზე სწავლების ხანგრძლივობაა:

1. წარმოებისგან მოწყვეტით — 9 თვე.

2. წარმოებისგან მოწყვეტლივ (საღამოს სწავლების ფორმა) — 18 თვე.

სპეციფაკულტეტზე მიიღებიან პირები არა უმეტეს 45 წლისა, რომელთაც აქვთ უმაღლესი განათლება და პრაქტიკული მუშაობის სტაჟი არანაკლები 3 წლისა.

განცხადებები მიიღება — 20 სექტემბრამდე.

გასაუბრება — 22-დან 27 სექტემბრამდე.

ჩარიცხვა — 30 სექტემბერს.

სწავლა დაიწყება — 1 ოქტომბერს.

სპეციფაკულტეტის წარმატებით კურსდამთავრებულები მიიღებენ ინჟინრის დიპლომს ზემოხსენებული სპეციალობით.

სწავლების ღირებულებაა 1904 მან. (წარმოების ხარჯზე).

ინსტიტუტის მისამართია: 380075, თბილისი, ლენინის, 77, სპეციფაკულტეტი, ტელ: 36-04-59, 36-66-22.

საბურნირო ორბიტა

● **ფეხბურთი.** გუშინ გაიმართა უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მე-12 ტურის მატჩები. თბილისის დინამოელები ოდესაში შეხვდნენ „ჩერნომორეცს“ — 1:1. სხვა შეხვედრები კი ასე დამთავრდა: „დნეპრი“-„შახტიორი“ — 2:1, „ტორპედო“-„ლოკომოტივი“ — 1:0, „როტორი“-„დინამო“ (კიევი) — 0:0, „ზენიტი“-„დინამო“ (მინსკი) — 1:0, „მეტალისტი“-„ძალგირისი“ — 0:0, „დინამო“ (მოსკოვი)-„არარატი“ — 6:1.

● **ჩოგბურთი.** გრძელდება ჩოგბურთელთა ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირი — საფრანგეთის ღია ჩემპიონატი. მოსკოველმა ანდრეი ჩესნოკოვამ მერეედფინალში ანგარიშით 2:6, 3:6, 7:6, 6:2, 7:5 დაამარცხა ამერიკელი კიმ კურიე და შეჯიბრების მომდევნო ეტაპზე გავიდა. მეოთხედფინალში მისი მეტოქე იქნება ცხონილი შვედი ჩოგბურთელი — მთს ვილანდერი, რომელმაც დამაჯერებლად დაამარცხა ლოუსონ დუნკანი (აშშ) — 7:5, 6:3, 6:2.

სენსაციური შედეგით დამთავრდა მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელის, საფრანგეთის ღია ჩემპიონატის სამგზის გამარჯვებულის ივან ლენდლის (ჩეხოსლოვაკია) და 17 წლის ამერიკელი სპორტსმენის მაიკლ ჩანგის შეხვედრა. ხუთსაათიანი დაძაბული ორთაბრძოლა ჩანგმა მოიგო — 4:6, 4:6, 6:3, 6:3, 6:3. მომდევნო წრეში ჩანგი შეხვდება რონალდ აგენორს (პაიტი). ქალთა წყვილების შეჯიბრებაში ნატალია ზვერევამ და ლარისა საჰენკომ დაამარცხა ავსტრალიელთა დუეტი (ენ ფაული და რეჩელ მაკგულანი) — 6:4, 6:2.

● **რაგბი.** უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგ ტურში ფრედ დამთავრდა ალმა-ათის ასკ-სა და ქუთაისის „აიას“ შეხვედრა 22:22, თბილისის „ელმავალმა“ კიევში დაამარცხა ადგილობრივი „ავიატორი“ — 13:6. მომდევნო შეხვედრაში ქუთაისელები დამარცხდნენ ქრასნოიარსკის „ელექტროტიაქსტროისთან“ — 6:13.

დღეისათვის ჩემპიონატს 25 ქულით (9 თამაშიდან) ლიდერობენ მონინოელები. „აიას“ ამდენივე მატჩში 21 ქულა მოაგროვა და ჯერ ერობით მეშვიდე ადგილზეა.

● **კალათბურთი.** საფრანგეთის დედაქალაქში გამართულ საერთაშორისო ტურნირში გმარჯვების შემდეგ საბჭოთა კალათბურთელმა ქალებმა მონაწილეობა მიიღეს ქალაქ ბურეეს თავისებურ ბლიც-ტურნირში, სადაც თითო ტაიმი 12 წუთს გრძელდებოდა. ჩვენმა სპორტსმენებმა აქაც გაიმარჯვეს — დაამარცხეს საფრანგეთის და კანადის გუნდები. კანადელებმა კი ფრანგები დაჯაბნეს.

პ. მელიქიშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად

ამა წლის 12 ივნისს 10 საათზე მ